მოთხესნებულ კომისიაში, მან არც იცოდა ამის შესახებ, ასე
თუ ისე მისი ოჯახის ცხოვრების მძიმე პირობები უცვლე-
ლად დარჩება გვიან გაზაფხულამდე მაინც, მერე სიცივე
აღარ მეანუხებს, რადგან ჯერჯერობით ზუსტი ვადები, თუ
როდის დასრულდება ბენეფიციართა შესწავლა და როდის
გარემონტდება ასალი თავშესაფრის შენობა, მხოლოდ ვა-
რაუდის დონეზე რჩება.

რუსულან რატიანი



„სანამ ადიდებული მდინარე სახლის კართან მოგვადგენა, წაგვიღეს და წაგვლეპავს, დახმარება მანამადა გვშირდება“

დიმიტრი გარაძის და გალაზონის ეურის მცხოვრებლები ხელისუფლებისა და სახლის ინიციატივის მიმართებული და სახმარებლად ქალაქის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს მიმართეს. ეს ქუჩები ქალაქის ტერიტორიაზე, მდინარე ბჟუჟის სანაპიროსთან ახლოს მდებარეობს და შემოდგომაზე მომხდარი წყალდიდობის დროს მოსახლეობამ დიდი ზარალი ნახა. ადიდებულმა მდინარემ მათ საკარმიდამო და საყანე ფართობი წაართვა. როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, არასწორად არის დაპროექტებული ახლახან აშენებული ჯებირი, იგი მდინარის შეუაში მოექცა, მის ქვევით დარჩა ვიწრო გასასვლელი და წყალი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთში შევიდა, საფრთხე შეექმნა საცხოვრებელ სახლებსაც. თუ ხელისუფლება დროულ დახმარებას არ აღმოუჩენს და ყურადღებას არ მიაქცევს მათ განცხადებას, როგორც სოფელ შემოქმედში ადიდა ბჟუჟი, გადმოვიდა ჯებირზე, წაიღო გზა, წალეკა მოსახლეობა, იგივე განმეორდება ოზურგეთის ქალაქის ტერიტორიაზე. საფრთხე ემუქრება 20-მდე ოჯახს, რადგან მდინარემ საკარმიდამო ნაკვეთების ნაწილი უკვე წაიღო და ახლა რეალური საფრთხის წინ მათი საცხოვრებელი სახლები დგას.

ადგილობრივები თვითონ საუბრობენ გარდაუვალ საფრთხეზე:

– 2013-2014 წლებში ჯებირი გაუკეთეს მდინარეს, თითქოს საფრთხე აგვაცილეს, მაგრამ პირიქით გამოდგა, მათი აშენებული ჯებირი მდინარის შეუაში აღმოჩნდა, მდინარე მოსახლეობისკენ წამოვიდა, კალაპოტი შეიცვალა, ადიდების დროს წაიღო საკარმიდამო ნაკვეთები, სათხილე და საყანე, საფრთხე შეექმნა ჩვენს საცხოვრებელ სახლებსაც წყალი 20-30 მეტრით იყო სახლიდან დაშორებული, საქმე მიაშია, რომ ჯებირის გაკეთების დროს არავინ გვითხა და არც გაიზიარა ჩვენი აზრი, ბჟუჟი მთის მდინარეა და გაზაფხულობით დიდდება, ჯებირის ასეთ ადგილას აგება ჩვენთვის საშიში და საზიანოა, არა მარტო ჩვენთვის, ზიანი მიადგება წყალსადნენსაც, შეიძლება ქალაქის წყალმო-

მარაგებასაც შეექმნას პრობლემები. ამიტომ გადაუდებელ დახმარებას ვთხოვთ, დროულად მდინარეს უნდა მიეცეს მიმართულება და გაიწმინდოს გასასვლელი, თორემ უფრო უარეს დღეში აღმოვჩნდებით. წყალდიდობები თებერვლის ბოლოს მასიურად იწყება და აუცილებელია, რომ ადიდებამდე მოგვარდეს ეს პრობლემა. ამის შესახებ ჩვენ მიკმართეთ ქალაქის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს, დაგვიპირდნენ, დახმარებას და გვითხრეს, რომ თანხებიც არის გამოყოფილი, მაგრამ პირველ ეტაპზე ჩვენს წინ მიღებულ განცხადებებს განიხილავდნენ და დახმარების შესახებ პროექტს სამინისტროში გადაგზავნიდნენ, შემდეგ ჩვენი განცხადებაც უნდა განხილათ, მაგრამ ჯერ არც პასუხი ჩანს და არც დახმარება, ჩვენ რამდენჯერმე ვიკითხეთ ამის შესახებ, მაგრამ ჩვენი განცხადების მიხედვით შედგენილი პროექტი არ აღმოჩნდა გადაგზავნილი შესაბამის სამინისტროში, ვართ გაურკვეველ მდგომარეობაში, საკუთარი ძალებით ამ პრობლემას ვერ მოვერევით, სანამ მდინარე სახლის კართან მოგვადგება, წაგვიღებს და წაგვლეავს, დახმარება მანამადე გვჭირდება, – აცხადებენ ადგილობრივება.

ზემოთხსენებულზე ქალაქ იზურგეთის მერიის შესაბამის სამსახურს დავუკავშირდით, კითხვაზე განიხილეს თუ არა დიმიტრი ბაქრაძის და მალაზონიას ქუჩის მცხოვრებების განცხადება და თუ გადაგზავნეს ინფრასტრუქტურის სამინისტროში, პასუხად მივიღეთ რომ ქალაქ იზურგეთის მუნიციპალიტეტს მთავრობის განკარგულებით გამოეყო საპროექტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხა შემდეგში გაბიონების მოსაწყობად. უახლოეს მომავალში საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მოსამზადებლად ხელშეკრულება გაფორმდება საპროექტო სამსახურთან.

პასუხი დადებითი მივიღეთ, მაგრამ როდის განხორციელდება ზემოთხსენებული და მოესწრება თუ არა წყალდიდობამდე, ვერ დავაზუსტეთ.

რუსულან რატიანი



ნებია, გთხოვთ საქართველო აღიარდეთ მოძალას...



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში
მცხოვრები მიქაბერიძეები გურიაში ტრადიციულ მომღე-
რალთა ოჯახად ითვლებოდა. რამინის მამას, შალვას სახლში
პატარა გუნდი ჰყავდა. ბავშვობიდანვე შვილებს ქართული
ხალხური სიმღერა შეაყარა. მის მეუღლეს, ლიუდის საო-
ცრად ტკბილი ხმა ჟქონდა, კარგად უკრავდ გიტარაზე და
ჩონგურზე, ასეთ გარემოში გაიზარდა რამინ მიქაბერიძე, მე-
ოცე საუკუნის ლეგენდა, მაღალი დიაპაზონის მქონე მომღე-
რალი ცველა კუთხის სიმღერის საუკეთესო შემსრულებელი
იყო. წლების მანძილზე მან ხალხის სიყვარული დაიმსახურა.
19 თებერვალს რუსთაველის აკადემიურ თეატრში გამართულ
70 წლის იუბილეზე მომღერალმა ეს სითბო და ყურადღება კი-
დევ ერთხელ გაითავისა. საქართველოს კულტურისა და ძეგლ-
თა დაცვის მინისტრმა მიხეილ გორგაძემ რამინ მიქაბერიძეს
„ხელოვნების ქურუმის“ ჯილდო გადასცა. მნერალთა კავშირ-
მა ქართულ ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლი-
ლისთვის ქართული კულტურის რაინდის წოდება მიანიჭა.
ურნალი გურია REGION-ი ლოტბარს იუბილეს ულოცავს
და მკითხველს მის შემთხვევაში მოვალეობრივობთ.

– ჩოხატაური ჩემი ყველაზე საყვარელი ადგილია, ბევრ ქვეყანაში ვიმოგზაურე, მაგრამ სიზმარში, ყველგან, ხიდის-თავს ვხედავდი. 1944 წლის 26 აპრილს დავიბადე, 11 დედ-მამიშვილიდან ორი ჩვილი ძმა დამელუპა, ოჯახში 9 და-ძმა ვიზრდებოდით, ახლა 5 დავრჩით, მე და იური, სამი და – უენია, მაყვალა და ნათელა. ხიდისთავის საშუალო სკოლის ბავშვთა გუნდში ვმღეროდი, ჩვენი ხელმძღვანელი იყო სან-დრო კალანდაძე. ხიდიად ვმონაწილეობდი სასკოლო ოლიმ-პიადებში. 6 წლის ბავშვი სცენიდან აღარ ჩამოგსულვარ, 1963-1967 წლებში ვსწავლობდი თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, მყავდა საუკეთესო პედაგოგები – ვასილ მახარაძე, აკაკი ანდრიაშვილი, გივი ლორთქოფანიძე, ქეთო მეგრელიძე. ანზორ კავსაძე პარტიტურას მასწავლიდა, მან კონკურსის გარეშე მომღერალ-სკოლისტად წამიყვანა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ან-სამბლში (ამჟამად ერისონი). მე, ჰამლეტ გონაძევილი და ჯემალ ნაკაშიძე გასრულებდით გურულ სიმღერებს – „ალი-ლო“, „შავი შევი“. ჩემი პირველი იმპრესარიო ჯემალ ნაკა-შიძე იყო. მოგვიანებით სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავში“ გადავვედი, ჩემი პარტინორები იყვნენ: ჰამლეტ გონაძევილი, ილია ზაქაიძე, ანზორ ერქომაძევილი, ირაკლი მათიკაშვილი, კაკო ლანდია, ოთარ ბერძენიშვილი, თემურ ქევზიშვილი, ბა-არი თოიძე და სხვბი.

- როდის გაქონდათ საზღვარგარეთ პირველი გასტროლი?

- პირველად 1968 წელს უნგრეთში ნავედით, მდინარე დუნაის სანაპიროსთან ვცხოვრობდით, იქვე ორი დიდი ცა-ცხვის ხე იდგა და ღია სცენა იყო, ერთ-ერთ ტურისტს მო-ენონა პოლიტონიური სიმღერა „შავი შავი“, სადაც ძალი

ეფეფს, ბანი იყო ოთარ ბერძნებიშვილი, ჰამლეტ გონაშვილი მეორე ხმას მდეროდა, ხოლო მე პირველს. უცხოელს წამოცდა – კონცერტი ღია ცის ქვეშ მიდის, ხეზე ხომ არ იმღერებორ? ხეზე სიძლერა გაგვიკვირდა, თუმცა ჩვენ ხელმძღვანელს ანზორ კავსაძეს ვუთხარით – რა უჭირს მერე, კაი იქნება, მარა რანაირად ახვალო ამ სიმაღლეზეო? – გვიპასუსა. რადგან დაგვთნახმდა, მასალებით დატვირთული მანქანა მოიყვანეს, დანადგარი მოაწყვეს, ხოლო მიკროფონები ხის წვერზე მოაბეს. სცენაზე ხორუმის ცეკვას ასრულებდნენ. ამასობაში ჩვენ ხეზე ავიპარეთ, ჰამლეტმა ოთარს ეხუმრა – მგალობლები ზევით ავალთ, შენ ქვემოთ იყევეუ. დავიწყეთ სიმღერა, პირველი მუხლის ნახევარი ისე დასრულდა, სიბრელეში არ ვჩანდით. შემდეგ ხის ფოთლებში ცისარტყელას ფერებმა ჩვენამდე მოაღნია და ჩიხებში ჩაცმული შაშვები გამოვჩნდით. საზღვარგარეთ მომღერლების პირველი გასვლა იყო, უცხოელებს ძალიან მოეწონათ. ჯერ ანზორ კავსაძის გუნდთან, შემდეგ „რუსთავთან“ ერთად წარმატებით მოვიარეთ მსოფლიო ოთხმოცზე მეტი ქვეყანა, სადაც პრესტიულ საკონცერტო დარბაზებში – პარიზის „ოლიმპია“, ლონდონის „ალბერტ პოლი“, ბერლინის დიდი თეატრი, ვენის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტან ოპერა“ და აშშ-ს, კანადის, მონრეალის პრესტიული, თეატრები, მოსკოვის დიდი თეატრი, კრემლის საკონცერტო დარბაზი. მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებისთვის მაყურებლები ოვაციებით გვაჯილდოვებდნენ. ამას მოჰყვა გერმანიაში ქართული კულტურის დღეები, სადაც ერთი თვე დავრჩით, შემდეგი თვე პოლონებში გავატარეთ.

- რატომ დაიმსახურა ქართულმა სიმღერამ ასეთი მონაცემი?

- იმიტომ, რომ მდიდარი ფოლკლორი გვაქვს, მახსოვები კანადში ორჯერ ვიმღერეთ, მესამედ დარბაზი ფერზე წამოდგა და კიდევ შევასრულეთ, ასეთი წარმატება ჩვენი წინაპრების დამსახურებაა. ბარნაპ სიხარულიძემ მთელ ჩოხატაურს ასწავლა სიმღერა, ის თავის რაიონს არ გაცილებია, ჩვენ თაობას კი გაგვიმართლა და მთელმა მსოფლიომ მოისმინა ქართული სიმღერა.

— ასეთი წარმატებების შემდეგ განსხვავებულად შეაფასეთ ქართული სიმღერა?

- ხშირად ასრულებთ ქალაქურ სიმღერას - შენ გიმღერი
ჩემთვის თბილის ქალაქი.

— ძალიან მიყვარს რეზო ლალიძის სიმღერები. სახელ-მწიფო ანსაბმბლში იყო დიდი ჯანმ ბაგრატიონი, იქ ვიმღერე ლალიძის „სამშობლო“, მან მთხრა, — ერთ გურულ კაცთან უნდა მიგიყვანო. დავით ანდლულაძესთან მივედით, ვიმღერე რომანსები. მოეწონა და მჟიოთა — მეუღლე თუ გყავს? — არა, ვუპასუხე. — ცოტა ხანი თავი შეიკავე და დიდი მომღერა-ლი დადგებიო. ნოდარ ანდლულაძემ და ზურაბ ანჯაფარიძემ თქვეს — მართალია, რამინმა კარგი საქმე გააკეთა, თუმცა ჩვინ საუკეთესო კლასიკური მომღერალი დავკარგვით. ალექ-

სი მაჭავარიანის, მელიტონ ბალანჩივაძის, ზაქარია ფალიაშვილის, დამიტრი არაყიშვილის რომანსებს ვმღეროდ. ასევე ჯ. ვერდის ოპერიდან „რიგოლეტო“ ჰერცოგის პარტიას ვასრულებდი და სხვა კლასიკურ საოპერო სიმღერებს.

— საშემსრულებლო ხელოვნების პარალელურად თქვენ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდით.

— საქართველოს კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი, ძალიან განათლებული კაცი, ასევე კარგი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე იყო, მან დამიძახა და ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლი ჩამაბარა, მეც დავთეთანხმე, ანსამბლი ავანგვე, საქართველოსთან დამზიდილებულ ქალაქ საარპიუკენში გასტროლებზე წავედით, ამ დროს ანზორ ერქომაშვილმა დამირეკა და მითხრა — ერთად ხომ არ ჩამოვაყალიბოთ ბავშვთა ანსამბლი? თბილისის მასანავლებელთა სახლში, ფურცელაძის ქუჩაზე მყავადა ვოკალური ჯგუფი — ჯემალ და გურამ თამაზაშვილები, თემურ ქუჩასელი, ლევან ლვინიშვილია, ასევე იყვნენ ქორეოგრაფები, მოფიქრებული მქონდა თემატური სიმღერები, მე და ანზორმა სკოლები მოვიარეთ და ბავშვები შევაგროვეთ. ამ დროს მომრავლებული იყო საესტრადო ანსამბლები, ქართული სიმღერის დაკარგვის საფრთხე გაჩნდა. ამიტომ სწრაფი ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო. შეიქმნა ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“, სადაც 37 ბიჭი და ერთი გოგო, ჩემი შვილი მაია მიქაბერიძე მღეროდა, ის წამყვანი სოლისტი იყო. მე და ანზორ ერქომაშვილმა ერთმანეთი შევავსეთ, ანსამბლს 12 წელი ველმძღვანელობდი. სოლომონ ლაფაურმა პარველ არზე მომზადა გადაცემა „ქართული ხალხური სიმღერის უკვდავება“, მოვინვით პოეტი ირაკლი აბაშიძე. ტელეგადაცემას დიდი რეზონანსი მოჰყვა, მაყურებლებმა ბავშვების მიერ შესრულებული სხვადასხვა კუთხის სიმღერები მოისმინეს და მთელი საქართველო ალპარაკდა. საკავშირო კომპოზიტორთა კავშირი, რომლის თავმჯდომარე დამიტრი კაბალევსკი იყო, ბავშვთა ანსამბლს ეძებდა, რამდენიმე რესპუბლიკაში შეამონდა, თუმცა არცერთი არ მოეწონა. ოთარ თაქთაქიშვილი არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირში ხელოვნების დიდი ქომაგი იყო, მის აზრს ყველა ითვალისწინებდა, ოთარმა კაბალევსკის ურჩია, — „მართვეს“ ხომ არ მოისმენდიო, ჩამოვიდა საქართველოში, კონცერტი კონსერვატორიაში გაიმართა, ანსამბლი ძალიან მოეწონა და იუნესკოს მე-14 მუსიკალურ მსოფლიო კონგრესზე ქალაქ ვარშავში მათი წაყვანა გადაწყვიტა. შემდეგ დაწყო გასტროლები მოსკოვში, გერმანიაში, ვარშავაში, სვერდლოვსკში. „მართვეში“ ახალგაზრდების მთელი თაობა აღვზარდეთ, რომლებიც დღეს ფოლკლორულ გუნდებში მღერიან და თვითონ ხელმძღვანელობენ ფოლკლორულ ანსამბლებს. ასევე აჭარაში ქალაქ ბათუმში ჩამოვაყალიბე სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლი, სადაც მრავალი თაობა ეზიარა ქართულ სიმღერას. ანზორ ერქომაშვილმა მითხრა — ანსამბლ „რუსთავში“ არ გვყავს კარგი სოლისტები, ხომ არ გადმოხვალო. ნახევარ განაკვეთზე დავიწყე მუშაობა, ჩავწერეთ ახალი რეპერტუარი. ჩოხატაურში 80-იან წლებში ანსამბლი „ნაბეღლავი“ ჩამოვაყალიბე. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გვქონდა გასტროლები.

— პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს მაია მიქაბერიძე.

— მაიამ ზაქარია ფალიაშვილის ნიჭიერთა ათწლედი დაამთავრა, შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიქორო სპეციალობას დაეუფლა. 1993 წელს ანსამბლი „რუსთავი“ გასტროლით აშშ-ში იმყოფებოდა. როცა დავბრუნდით, სიურპრიზი დამახვედრა, ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „საგალობელი“ ჩამოიყალიბა, შემდეგ გოგონათა ანსამბლი „მანდილი“ შექმნა. მაია თეატრალური უნივერსი-

ტეტის სამუსიკო მიმართულების ასოცირებული პროფესორია. ასევე კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის გუნდის დირიჟორი. ხუთი შვილის დედა — თათია, ნინო, გიორგი და ანასტასია (ტასო) კარგად მღერიან, რაც შეეხება თორნიკეს აბსოლუტური სმენა აქვს, კაცელში მღერის, დედასთან ანსამბლ „საგალობელში“ მუშაობს, მუსიკულ მომღერალი შეირთო. შვილთაშვილი გიორგი გიორგობის დღესასწაულზე დაიბადა. რაც შეეხება მეორე შვილს, პატარა რამინ მიქაბერიძეს მეთორმეტე კლასში სწავლობს, თავისი დის ანსამბლში „საგალობელი“ მღერის. ჩემი ძმა, იური წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესის რეგენტია, ჰყავს ანსამბლი „კრწანისი“. მისი ქალიშვილი, ხათუნა მიქაბერიძე გერმანიაში მოღვაწეობს, წამყვანი მეცნიერანია.

— საზოგადოებამ ლირსეულად გინოდათ მეოცე საუკუნის ლეგენდა. დღეს, რამინ მიქაბერიძე არის სათანადოდ დაფასებული?

— ხალხს ვუყვარვარ, ეს არის ჩემი მთავარი ჯილდო. საქართველოში ხელოვანს არა აქვს დაფასება. ბევრი ჩანაწერი მაქვს, თუმცა დისკებს ვერ ვუშვებ. საკმაოდ დიდი პედაგოგიური გამოცდილება დავაგროვე, ხელფასანი ანსამბლი რომ მყავდეს, მათ ჩემს ცოდნას გავუზიარებდი. ლოგბარმა და პედაგოგმა, პირველ რიგში თავის საქმეზე უნდა იფიქროს და არა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, არ ვართ განებივრებული. თუ ჩემი რაიონის ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტს, ჩოხატაურის ანსამბლს კონსულტაცია გავუნიო, მზად ვარ ასეთი დახმარებისთვის.

— რა არის გურული სიმღერის მთავარი ხიბლი?

— სუფთა მთის გურიიდან, ჩოხატაურიდან გურული სიმღერა ანკარა წყაროსავით მოედინება, დღემდე არცერთი კუთხის გავლენა არ აქვს. მთავარია, ეს ხიბლი არ დავაკრგოთ და ჩვენ ტრადიციებზე მომავალი თაობა აღვზარდოთ, ამ სასიკეთო საქმეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი. სიმღერას დიდი მადლი და ძალა აქვს. ჩემს საყვარელ გურიას და ჩოხატაურს ღმერთია არ მოაკლოს ნიჭიერი მომღერლები, უკეთესი რა უნდა ვუსურვო. ნეტავ, მთელი საქართველო ამღერდებოდეს...



რედაქციისგან: 14 ივლისს სოფელ ხიბლისთავში ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეს აღნიშნავენ. მაია მიქაბერიძემ სურვილი გამოიტვა, ამ ღონისძიების შემდეგ ჩოხატაურში ლოგბარის რამინ მიქაბერიძის კონცერტი გაიმართოს. სახალხო მწერალი და მომღერალი — იშვიათია, ასეთი ბედნიერება რომელიმე მუნიციპალიტეტს ხვდეს წილად. მეოცე საუკუნის მოღვაწებმა ნამდვილი ხელოვნებით ხალხის მარატა გადაიყვანა გადაიკვენა. ეს ადამიანები, კი, უპირველესად, ჩოხატაურელები და ხიბლისთავები არიან.

ლელა სურმავა



დაღის ჩვენს გვარდით ეს დროული კაცი...


გელა მუხაშავრია უნილბო ცხოვრებისკენ გვიწვევს. ის გვარნმუნებს, რომ ნიღაბი მისი პროფესიის ატრიბუტია და მას მხოლოდ საოპერაციო ბლოკში იკეთებს. ყველა სხვა შემთხვევაში ამბობს: თუ გინდა იყო რაც გსურს, იყავი ის, რაც ხარ! მან დაიპყრო ექიმისთვის საოცნებო ყველა სიმაღლე, აღზარდა ექიმები, შექმნა და დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს პროქტოლოგიის ცენტრს, აქვს ორი საავტორო ოპერაციული მეთოდი, რომლის შესახებ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალში.

ჰემორიის ქირურგიული მკურნალობის საკუთარ მეთოდზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორების გელა მუხაშავრიას და მიას ქრაბაკის სამი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია ევროპასა და აშშ-ში: Techniques in Coloproctology, 2009 (Italy); Disease of the colon and Rectum, 2011(USA); Journal of Gas-

trointestinal Surgery, 2013 (USA). ალნიშნული მეთოდით ოპერაციის გაკეთების შემდეგ დაავადების განმეორების ალბათობა აღარ არსეობობს.

გელა მუხაშავრიას მადლიერია ასობით გადარჩენილი და ტკივილებდამცხალი პაციენტი. პროქტოლოგიის ცენტრი, დღეს, ნამდვილად არის ფლაგმანი, მუდმივად დარგის განვითარების სტრატეგიას განსაზღვრავს. ექიმის სამუშაო კაბინეტში პატარა პროქტოლოგუზე მივიხილე, სადაც ყველაფერი ექსპონატებივით არის გამოფენილი, რაც პირდაპირ, თუ ირიბად მის საქმიანობას უკავშირდება. ადამიანებთან დამოკიდებულების ემოციური პათოსი გელა მუხაშავრიას თანდაყოლილი თვისებაა, გურული კაცი ხომ სხვაგვარი ვერ იქნება. მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სხვების გახარებაა, არასოდეს უფიქრია ფუფუნებაზე, სწორედ, ეს არის გელას მთავარი ხიბლი. ურთიერთობის დროს ის ყოველთვის გულწრფელია, ენდობა შინაგან ხმას, უმეგობროდ ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია. უურნალ გურია REGION-მა გელა მუხაშავრიას მართლაც, ადამიანური, შეუნილბავი ურთიერთობა დაინახა, ის ჩვენი მთხოვნელიც გახდა. გურიაზე საუბრის დროს თვალებზე ცრემლები მოადგა, მას ყველა სოფელზე მეტად ხომ ძიმითი უყვარს.

ბადუნია ამბობს-ის ჩვენი გვარის სიამაყეა, ქალაქში იმედად გვეგულება. ოღონდ ხმირად ჩამოვიდეს და ხეებს ჩვენ დავრგავთ. გელას იდეა იყო – შევიკიბოთ ჩვენებურები, მუხები დავრგოთ და ჩვენს ფუძეს მუხას მუხაშავრიებმა დღესასწალული მოუწოდოთ. მაშ ასე, ყველანი



მამა

მუხის დარგვაზე გაზაფხულზე, მუხაშავრიებში!

...ოთხწლიანი სიყვარულის შემდეგ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაქორნინდნენ. თამარ კახიძე თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან იყო, აკაკი მუხაშავრია – ოზურგეთიდან. 1937 წლის 10 დეკემბერს ბიჭი შეეძინათ და გელა დაარქვეს. მძიმე წლები იყო. დედაქალაქში დამკვიდრება ჭირდა, ორივე მუშაობდა და შვიდი თვის ჩვილი ძიმითში ბებიაბაბუას ჩაუყვანეს გასაზრდელად. გელა ოთხი წლის იყო, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. აკაკი მუხაშავრიას, როგორც პერსპექტიულ და განსაკუთრებული სპეციალობის ახალგაზრდას, ჯავშანი ჰქონდა და არავინ გაიწვევდა ფრონტზე, მაგრამ ომის დაწყებიდან მერე დღესვე საკუთარი სურვილით კომისარიატში გამოცხადდა – დაჯავშნული და შეშინებული მტერს სახლში რაფერ დავხვდეო და ნასულა.



დედა

წლები გადიოდა. მამის არცერთი წერილი არ მოსულა ფრონტიდან და არც ვინმე ამბის მომტანი ყოფილა. 1945 წლის აპრილის ერთ დღეს დედამ სკოლაში გელას მიაკითხა და მიახარა, უწყება მოვიდა, მამა ცოცხალია და დაბრუნდება. 1946 წლის 16 იანვრის გაყინულ ღამეს ერთი პატარა ჩანთით, ხუთწლიანი გაუჩინარების მერე მამამ ცოლშვილს კარებზე დაუკაუნა, შემდეგ შიშნარევი სიფრთხილით მოუყვა 1941 წლის სექტემბერში ფაშისტებმა რომ დაატყვევეს და ხუთი წელი საკონცენტრაციო ბანაკებში როგორ გაატარებინეს. ბუნტის მონყობის ორგანიზებისთვის დასახვრეტადაც გაუყვანიათ, მაგრამ გერმანიაში მოგვარეობის ისახავენ. 1924 წელს საქართველოდან გურიის აჯანყების მერე პარიზში გაქცეულმა თეოფილე მუხაშავრიამ მომძებნა და იმან გადამარჩინაო, – იხსენებდა აკაკი.

1970 წელს მ. ნემიროვასა და ე. კალანდაძის ავტორობით დაიბეჭდა წიგნი „ვერმახტის საიდუმლო საქმე“, რომელიც 1941-45 წლებში ქართველ მეომართა ჯგუფის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებულ დღებზე მოგვითხრობს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი აკაკი მუხაშავრია იყო და იგი ამ წიგნი აკაკი მავრიადაა მოხსენიებული.

1948 წელს აკაკი უკვე სტალინის საბჭოთა ბიძებმა წაიყვანეს, გაასამართლეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 11 წლის გელას არ გამოპარვია, დედამ როგორ შეერა ბარგი, კედლის კარადაში შეაწყო და ყოველი ფეხის ხმა როგორ აფორიაქებდა, გელამ გაიგო, დედა ახლობელს ეჩურჩულებოდა, ალბათ, მეც წამიყვანებო... როდის-როდის დედამ რომ ბარგი ამოალაგა, მიხვდა, ის გადარჩა. მეუღლის ავტორიტეტის და მოხერხების წყალობით აკაკი მუხაშავრია შუა აზის ნაცვლად, რუსთავის ციხეში გაამწესეს. თამარ კახიძე მავთულებს იქით დარჩენილი ქმრისთვის პროდუქტს თვიდან თვემდე აგროვებდა და „პერედაჩებზე“ დადიოდა.

1955 წელს აკაკი მუხაშავრია ციხიდან გაათავისუფლეს. 1958 წელს გამოიძახეს საკავშირო უშიშროების კომიტეტში, ახლა უკვე სხვა მიზნით დაკითხეს და სამამულო ომის დროს ფაშისტური საკონცენტრა-

ციო ბანაკების ხელმძღვანელის ობერლენდფერის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად ბერლინში გადააფრინეს. ბერლინში გერმანულ ენაზე მისცა საბოლოო ჩვენება აკაკი მუხაშავრიამ. 1960 წელს რვანლიანი პატიმრობისთვის მხოლოდ მოუბოდიშეს და რეაბილიტაციის საბუთი მიართვეს.

საშუალო ტანის, სახასიათო თეთრი ულვაშები, ყოველთვის მონეს-რიგებული და ესთეტური – ასეთი ახსოვთ აკაკი მუხაშავრია. ის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში აგრონომ-ენტომოლოგად მუშაობდა. მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა შემოვლილი. ალბათ, დღეს, ბევრმა არ იცის, რომ აფხაზეთში, ბიჭვინთის შემოგარენის ჯანმრთელი მწვანე საფარი აკაკი მუხაშავრიას ნაამაგარიც არის. მეცნიერმა და მკვლევარმა სამოცდაათზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა სხვადასხვა ენაზე და ორი საავტორო უფლებაც ჰქონდა მინიჭებული.

გელა მუხაშავრიას დედა, თამარ კახიძე იმ თაობის წარმომადგენელია, ვის სახელსაც საქართველოში დამოუკიდებელი ფიზიულტურის ინსტიტუტის დაარსება უკავშირდება. ის წლების მანძილზე იყო დეკანი, ყველაზე გვიან მიდიოდა ინსტიტუტიდან და დილით კი ისევ მონეს-რიგებული, ღიმილიანი ხვდებოდა სტუდენტებს, რომლებსაც დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა.



2011 წელი. ელგუჯა და ბადრი მუხაშავრიებთან ერთად, ძიმითში, ლავრენტი ბაბუას, თებრონე ნენას და ქეთო მამიდას საფლავზე.

ყველა სოფელს კყავს თითო-თითო მაინს, ილიკო, ილარიონი და რეაბილიტაციული ცენტრების მიმითში გვეპატიჟება. დასაწყისში ნოდარ დუმბაძე უნდა მოგვეხმაროს:

სოფელს მარჯვნივ სუფსა ჩამოუდის, მარცხნივ აცაურა, რომელიც საგსეა კიბორჩხალებით, ლორჯოებით და შარვალაკაპინებული ბიჭვებით, მდინარის ქვიან ნაპირებს – მერეს, ხოლო სუფსაზე გადადებულ ხიდს ბოგას უძახიან. ყოველ ზაფხულზე მოვარდნილ წყალს მიჰქონდა ხიდი და რჩებოდა ხიდისთავი.

გელა მუხაშავრიას ძიმითი ყველა სოფელზე მეტად უყვარს, რადგან არ შეიძლება იყოს სხვა სოფელი, რომელშიც ცხოვრობდა ის, ბებია თებრონე, ბაბუა ლავრენტი, ჯაინოზი, ქეთო მამიდა და მთელი მუხაშავრიები. ბავშვობაში რამდენჯერ აურბენია ეს მთა, ზემოთ, სულ წვერზე, ზღვის დონიდან 600 მეტრზე, ციხე-გალავნის ნანგრევებია, იქედან ხელისგულივით მოჩანს შავი ზღვა და აჭარა-გურიის სოფლები. წარსულში აქ ანთებული ცეცხლი განსაცდელის მანიშნებელი ყოფილა დაბლობში დარჩენილთათვის და



ისინიც მთებში იხიზნებოდნენ.

— რატომ ჰქვია ჩვენ სოფელს ძიმით? — უკითხავს ერთხელ გელას ბაბუასთვის.

— ჯარი გადმოსულა, ბაბუა, ნასაკირელზე და დაღლილებს აქანე კარგად გამოუძინათ და იმიზა, მარა იმასაც ჩივიენ, „ჯიმა“ ძმებს ნიშნავს მეგრულად და ვითამ ძმების სამყოფი ადგილი იყოო.

ლავრენტი ბაბუას დიდი თეთრი ულვაშები ჰქონდა, საგულდაგულოდ მოვლილი. ერთხელ სამართებლით პირს იპარსავდა და გელას უთქვამს — მოდი, ბაბუა, ნუ წვალობ, მე გაგპარსავ, რა იყო შენს კისერს არ მანდობო? — შენ, ბაბუა, კისერს კი არა, მთელ ცხოვრებას განდობო, — უთქვამს ლავრენტის.

ლავრენტი მშრომელი კაცი იყო და მისი საკმარისი ლვინოც სულ ჰქონდა და დასაყოლებელიც, მოწუნუნე კაცს რომ ნახავდა, იტყოდა, აგენს ჭუა მისი მოსწონარიენ, ქონება სხვისიო. ბებია და ბაბუა გელას არდადეგების მოლოდინში ყველაფერს მისთვის „ჭუჭყავდნენ“ — „ჯანჯუხას“ და ჩირს, გემრიელ და ლამაზს „ბალანას“ უნახავდნენ.

ახლა სახლის გვერდით ლავრენტი ბაბუას, თებრონე ნენას და ქეთო მამიდას საფლავებია, მოვლილი ბზის მწვანე ბუჩქებით და შემოფარგლული. ეს გელას დაუინებული სურვილი ყოფილა, საკუთარ ეზოში დაესაფლავებინა საყვარელი ადამიანები — თუ ვერ ჩამოვლენ ჩემი შვილები და შვილიშვილები, თუ ამ ეზო-კარს არ მიხედავენ, გაყიდვით

ხომ მაინც არ გაყიდიან აქაურობას. იქნებ ამ ყველაფერს ბაბუას ბუხრის პირას დაბარებული: „ცეცხლი შეინახე“ ჰქვია.

გაზაფხული ამ ეზოში ჯერ ისევ წინაპართა დარგულ ხეებს მოჰყავს. გელა, გია და კახა თავის დასარაგავს ჯერჯერობით დედაქალაქში რგავენ. მომდევნო თაობიდან ნიკა და პატარა გელაც მოდიან მუხამავრიების ფუძეზე. რამდენიმე წელია გელას მეუღლე, ნელი სხირტლაძე ველარ მიდის ძიმითში — „ყველაფერი ეგ ყოფილა, ეგ იყო დედა და დედაბორი, ყველაფრის მომვლელი და პატრონი, მეუღლედ დაბადებული. მის სიმაღლეს, სულის სიმაღლეს ჩემთვის ვერცერთი ქალი ვერ შეწვდება, აბა, მე ვინ ვარ უმაგისოდ, აქაურობა მისით სუნთქვდა... ისე წაგიდა, როგორც ნატრობდა, არავინ შეანუხა, ერთხელაც დაღამდა და ნელის თვის აღარ გათენდა, ყოველ დილით

ვფიქრობ, ნეტავი მისი ხმა გამაგონა“, — გელას თვალები ცრემლებით ევსება.

აროეზოლოგია, მე შეი მუს-მივი ტყვე ვარ, ჩვემი ახალგაზრდობა და ტალანტი სერიი ნაცლავის კადელში მყუდრობს და გერლება

გელას მამამ რამდენჯერმე გააგონა, როგორ გადარჩა ექიმების წყალობით, ამ მონადინებით განსაკუთრებით ადამიანის ანატომიითა და ფიზიოლოგიით იყო დანიტერესებული, — ლექცია კი არა, პრაქტიკული არ გამიცდენია, ამბობს ის. 1992 წელს პირადი გამოცდილებისა და ავადმყოფთა დაკვირვების მაგალითზე დაწერა თემა და ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ეს იყო სრულიად ახალი ოპერაციული მეთოდი პროექტოლოგიაში, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა დაავადების განმეორების შესაძლებლობას. ამიტომ მოიწონეს უცხოელმა კოლეგებმაც. 1999 წელს ოპაიოს შტატში, კლივლენდის სამედიცინო უნივერსიტეტის კოლოპრონქტოლოგიის სამსახურში, კლინიკის ხელმძღვანელმა ვიტორ ფაციომ გელა მუხაშავრია გამოცდილების გასაზიარებლად მინვია.

ამერიკურ უურნალში გამოქვეყნებული ვრცელი სტატიით მკურნალობის მუხაშავრიასეული ეს მეთოდი მედიცინაში ნოვაციად შეაფასეს.

პროექტოლოგიაში მასწავლებლებად რესული სამედიცინო სკოლის ისეთ კორიფეებს მოიხსენიებს, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე რიუხი, ვლადიმერ ალექსანდროვი, ვლა-





ნელისთან

დიმერ ფილმოროვი. საქართველოში პროექტოლოგის ცენტრის შექმნის დღიდან, 31 წელია მისი უცვლელი ხელმძღვანელი გელა მუხაშავრია. არასოდეს მიუტოვებია პროფესიული საქმიანობა, დღემდე მისი ყველაზე დიდი თანამდებობა საოპერაციო მაგიდასთან დგომაა. თუ ექიმი პაციენტის ეკონომიკურ მდგომარეობასაც გამოიკითხავს, არავინ იფიქროს, რომ მის ჯიბეში იხედება, უსახსრობის გამო გელას კლინიკიდან არავინ გაუბრუნებია. არასოდეს უნანია, რომ მრავალ პროფესიათა შორის, ექიმობა ყველაფერს არჩია! ხოლო ვინც ჰიპოკრატეს ფიცის დადებას გადაწყვეტს, ერთი რჩევა აქვა: ექიმს საქმე აქვს ბუნებაში ყველაზე რთულ მექანიზმთან – ადამიანის ორგანიზმთან. მედიცინის სფეროში დაოსტატება პრაქტიკულად უწყვეტი პროცესია. მას 34 სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. მამის კვალზე ლირსეულად დგას მისი უფროსი ვაჟი გია.

„ყველა სადღეგრძელოს მირჩევნია გელა მუხაშავრიას სიცოცხლისა და მომავალი ცხოვრების, უდარდელობისა და სიხარულის – ამჯერად და მუდამ, რადგან გელა მთელი თაობის განსახიერება! – ეს აღდგომა დღეს ჩემს დაფაზე დაგინერე (ვერ ვლაპარაკობ და ეს დაფა ჩემი ხსნა). ქართველებს ერთი კარგი სიტყვა გვაქვს „ვაჟკაცი“. „ვაჟი“ ყველამ ვიცით რაც არის, აი, „კაცი“ ის არის, რაც ჩვენს ენაში სიტყვა კაცობრიობას უდევს საფუძვლად.

ეს ფრაზა ზუსტად შეეფერება მის პიროვნებას. კომპოზიტორმა ვაჟა აზარაძვილმა და ალექს კაკულიამ მას სიმღერა „ავლაბარო, ავლაბარო ჭალარავ!“ მიუძღვნეს, ტექსტი აკროსტიხია და გელა მუხაშავრია იკითხება.

**შენ თბილისის ძველისძველო
ფიქრებო,**
აზარფეშად ქება მითქვამს,
შარი-შური შენი მიყვარს,
ვიდრე შენ ხარ, მოდი ერთად
ვიმღეროთ;
როგორ მინდა გაგახარო, ჭარმაგო
და ამაგდარო,
იდლეგრძელეთ, ავლაბრელო
ბიჭებო!

გელას ცხოვრება, ეს დედაქალაქის ცხოვრებაა, თბილისელების თბილისის გახსენება და იმ ჰაერით სუნთქვა. ის ხომ მეოცე საუკუნის ქალაქის ნამდვილი მემატიანეა და როდესაც უსმენ, შენს თვალწინ ის ადამიანები ცოცხლდებიან, რომელთა შესახებ ერთხელ მაინც უნდა გქონდეს გაგონილი.

ასეთ რეალურ ისტორიებზე იზრდებიან თაობები. ქართველ ერში კაცობას ხომ სიცოცხლეზე მეტი ფასი აქვს.

...და კიდევ დიდხანს ივლის ჩვენს გვერდით ეს დროული კაცი.

ლელა სურმავა



შვილიშვილი ორვერ შვილია და ორვერ უფრო საყვარელი.

გელა

კლასიკის ოთხი ტიპი ქართულ ტრადიციულ გეზისინაში



უურნალ გურია REGION-ის მერვე ნომერში ჩვენ ვისაუ-
ბრეთ ქართულ ტრადიციულ მედიცინაზე, რომელიც არა
მარტო მინერალური და მცენარეული ნამლებით მკურნა-
ლობს, არამედ დიეტითაც. ხალხურ მედიცინაში მნიშვნელო-
ვანია ადამიანის ცხოვრების წესი, როგორ და როდის იკვებე-
ბა ის, ასევე საყურადღებოა რა ტიპის ადამიანია და როგორი
კონსტიტუცია აქვს მას. რას ნომნავს ოთხი კონსტიტუცია და
რა შედეგს მოგვცემს ინდივიდუალური დიეტა? – ამ კითხვაშ
უურნალის მკითხველებში დიდი ინტერესი გამოიინვია. კლი-
ნიკა „ოჯახის მკურნალის“ ხელმძღვანელი თორნიკე ალაშ-
ვილი უფრო დეტალურად მოგვითხრობს.

ქართული ტრადიციული მედიცინის შესწავლა ხდება
წერილობითი წყაროების და ეთნოგრაფიული მასალების
მოპოვებით, გაანალიზებით და რაციონალური სამკურნა-
ლო საშუალებების, რეცეპტების კლინიკური გამოცდით. ამ
საქმეში მნიშვნელოვანია ქართული ტრადიციული მედიცი-
ნის ფილოსოფიის, თეორიის და დიაგნოსტიკის საკითხე-
ბის გაანალიზებაც. ქართული ტრადიციული მედიცინის
პიონერი მევლევარი იყო ლადო კოტეტიშვილი, რომელმაც
გამოსცა ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი-კარა-
ბადინი“, „უსწორო კარაბადინი“ და სხვა სამედიცინო წყა-
როები. ჩემი პედაგოგი იყო პროფესორი მიხეილ შენგელია,
რომელმაც გაუწია ორგანიზირება მრავალ ექსპედიციას
საქართველოში ხალხური მედიცინის შესწავლის მიზნით,

„შექმნა ლმერთმა მოწყალემან კაცი ოთხთა
ბუნებათაგან; ქარისაგან, ცეცხლისაგან, მიწისაგან
და წყლისაგან, ესე ერთმანერთსა არ გარივნა,
ცალკე-ცალკე არიან სიმურვალითა სიხმელი-
თა, სიგრილითა და სინოტითა.«

დაპერადა ლმერთმან მოწყალემან ცეცხლისა-
გან კუერცხის გული, ნაღველი, რომელ არს ზა-
ფრია, და არს იგი მხერვალი და ხმელი; და არს
გემო მისი მნარე და ფერი მისი კუერცხის გული-
ვითა ყუითელი.

შექმნა მოწყალემან ლმერთმან ქარისაგან
სისხლი, და არს იგი მხერვალი და ნოტიო; გემო
მისი – ტკბილი, და ფერი – ნითელი.

და შექმნა ლმერთმან მოწყალემან მიწისაგან
შავი ნაღველი, რომელ არს სუვრა, და არს იგი
ხმელი და გრილი; და არს გემო მისი მყავე და
ფერი მისი მნუანე.

და შექმნა ლმერთმან მოწყალემან წყლისაგან
თელვამა, რომელ არს ბალღამი, და არს გრილი
და ნოტიო; და არს გემო მისი მლაშე და ფერი
მისი თეთრი.

სამკურნალო წიგნი კარაბადინი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი

გამოსცა პირველწყაროები, მრავალი სამეცნიერო შრომები
და სახელმძღვანელოები. დღესაც ბევრი მასალა შესასწა-
ვლი და გასაანალიზირებელი. ქართული ტრადიციული
მედიცინის ლიგის წევრებმა დავიწყეთ თეორიულ-ფილო-
სოფიური საფუძვლების გაანალიზება და შეჯერება. შევა-
დარეთ სხვა აღმოსავლურ ტრადიციულ სამედიცინო სის-
ტემებს, რათა დაგვეზუსტებინა დეტალები. შედარებითი
ანალიზის საფუძველზე ვარკვევთ, თუ როგორი აღნაგობის
ადამიანის ტიპები და ქრონიკული დავადებების ფორმები
იყო გამოყოფილი ძველ ქართულ ტრადიციულ მედიცინში.
ქართული ტრადიციული მედიცინის შესწავლა საფუძველს
უყრის თანამედროვე მედიცინში სრულიად ახალი მიმარ-
თულების – ინდივიდუალური, პიროვნებაზე ორიენტირე-
ბული თერაპიის ჩამოყალიბებას.

2009 და 2010 წელებში ერევანში ჩატარდა საერთაშო-
რისო კონფერენციები, რომელიც ტრადიციული სამედი-
ცინო სისტემების თანამედროვე მედიცინაში დანერგვის
საკითხებს მიეღვინა. ჩემს მოხსენებაში გავამახვილე ყურა-
დლება იმ გარემოებაზე, რომ სრულიად განსხვავებულ ფი-
ლოსოფიურ-თეორიულ საფუძვლებში, რომელიც გვხდება
ქართულ, ინდურ, ტიბეტურ და სპარსულ ტრადიციულ სა-
მედიცინო სისტემებში, არის მრავალი საერთო და შესა-
ძლებელია მათი ერთ სისტემაში გადაყვანა.

– როგორი კარაბადინი ქართულ მედიცინასა და სხვა ტრა-

დიცულ სამედიცინო სისტემებს შორის?

- ქართული ტრადიციული მედიცინა ახლოს დგას სპარსულთან და ბერძნულთან, მას აქვს საერთო აღმოსავლურ სამედიცინო სისტემებთანაც. შესაძლებელია ყველა ტრადიციული სამედიცინო სისტემების დაჯამება, როგორც დიაგნოსტიკის და დაავადებების კლასიფიკირების საკითხები, ასევე მკურნალობის, დიეტების ინდივიდუალურად შერჩევის მხრივ. საყურადღებოა, რომ ტრადიციული სამედიცინო სისტემები განიხილავენ ადამიანის გარკვეულ ტიპებს, თავიანთი ფიზიკური აღნაგობით, ფიზიოლოგიით და ფიქირით.

რამდენი წელი მუშაობთ ამ საკითხებზე?

- თითქმის 20 წელი.

რა დასკვნამდე მიდით?

- შეიძლება გამოიყოს ადამიანის ოთხი ძირითადი ტიპი და ასევე ოთხი ქრონიკული დაავადებების ფორმა, რომელთა მიმართ პაციენტებს აქვთ მიღდეკილება.

პირველი ტიპი, ეს არის თელგმა, ღიმფის სიჭარბით გამოწვეული და ბუნების ოთხი ელემენტიდან წყლის ელემენტს შეესაბამება. მისი თვისებებია სინოტივე და სიგრილე. თანამედროვე მედიცინის ენაზე ნიშნავს, რომ ის არის ჰიპერსტენიული აღნაგობის ადამიანი. მისთვის დამახასიათებელია ჭარბი წონა, პასიურობა, არის უმოძრაო. მისი დარღვევები გამოწვეულია მიკროლემენტების (კალციუმის, სილიციუმის და სხვ.) ნაკლებობით. ფიზიოლოგიურად ეს არის ორგანიზმის ჰიპორეაქცია, ანუ შენელებული სასიცოცხლო პროცესები, დაბალი ტონუსისკენ მიღდეკილება. მათ ხშირად აქვთ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის უჯმრისობა, შეკრულობა, კანის სიმშრალე და ნახეთები. ფიქოლოგიურად ასეთ ტიპს ახასიათებს შიშები, შებოჭილობა. მათ ასევე ფლეგმატიკებს უწოდებენ.

მეორე ტიპი, რომელიც გაზაფხულს შეესაბამება.

- ეს არის სისხლის სიჭარბით გამოწვეული ტიპი, სანგვინიკი. მათ ახასიათებთ მაღალი წნევა, სახის სინითლე. ასეთი ტიპის ადამიანები აქტიური, მხიარული არიან, მაგრამ გაღიზიანება და გაბრაზებაც ახასიათებთ. მათი ორგანიზმის თვისებებია სინოტივე და სიმშრვალე. აღნაგობით ის არ არის ჰიპერსტენიული, მაგრამ ავადმყოფობის დროს იმატებს წონაში. განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან წვიმიანი ამინდის მიმართ. მათ მიღდრეკილება აქვთ ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებებისკენ, თირკმლისა და ნაღვლის ბუშტის კენჭებისკენ, სხვადასხვა ალერგიებისკენ, ღვიძლის პათოლოგიებისკენ და შაქრიანი დიაბეტისკენ. ხშირად აქვთ ჰიპერტონიული დაავადება. მათ ორგანიზმში ჭარბობს ჰიპერრეაქცია.

მესამე ეს არის ქოლერიკი, ყვითელი ნაღველის ტიპი.

- დიახ, ზაფრა. ამ ტიპის თვისებებია სიმშრვალე და სიმშრალე. ის ყველაზე აგრესიული და დეპრესიულია, განდება აუტოაგრესიაც. ამ ტიპის ადამიანებს არ მოსწონთ არსებული წესრიგი, ბუნებით რევოლუციონერები არიან.



მაგალითად ასეთი ტიპი იყო ვლადიმერ ულიანოვი. მას სამყაროში თავისი წესრიგის დამყარება სურდა, რის გამოც არსებულ წყობილებას ანგრევდა და ყველაფერს სპობდა. ასეთ ადამიანებში გვხდება ფარისებური ჯირკვლის ზედმეტი აქტიურობა (თირკოლექსიკოზი), ხშირად აქვთ წყლულოვანი დაავადებები, დისტროფიული ცვლილებები სხვადასხვა ორგანოებში, დამბლა, ათაშანგის (III – IV სტადიები) და სხვა.

აღნაგობით არ არიან გამხდარნი, თუმცა თავიანთი დაავადებების გამო წონას კარგავენ. ზოგჯერ კახექსია ვითარდება. ამ ტიპის პიროვნებები თავიდან ძალიან ჭკვიანი და ინტელექტუალურები არიან, თუმცა სულიერი და მორალური თვისებებით არამყარნი. უყვართ ლიდერობა, აქტიური საქმიანობა. მრავალ ქველმოქმედებასაც ეწევიან ხოლმე. თუ შევდათ ისეთი წინააღმდეგობა, რომელთაც ვერ უტოლდებიან, ავლენენ საშინელ აგრესიას, ან ვარდებიან დეპრესიაში. ფიზიოლოგიის დონეზე დამახასიათებელია დისტროფიული ცვლილებები, ფიქოლოგიურად კი – აგრესია და აუტოაგრესია.


– მეოთხე ტიპი, ეს არის სევდის ანუ შავი ნაღველი.

- მეოთხე ტიპის თვისებებია სიმშრალე და სიგრილე. აღნაგობით ასტენიურნი, გამხდარნი არიან. შავი ნაღველის ქვეშ სხვადასხვა ავტორები გულისხმობები ვენოზურ სისხლს, ჩამუქებულ, ანუ შავ ლიმფას, გამწვანებულ ნაღველს, მოკლედ გადამწვარ ბიოლოგიურ სითხეებს.

ამ ტიპს მრავალი დაავადებების მიმართ აქვს მიღრეკილება. მაგალითად ტუპერკულოზი, ქრონიკული რინიტი და ბრონქიტები, მელანქოლია, აპათა. მათ სამურნალოდ, ხშირად, ისეთი დიეტა სჭირდებათ, როგორიც სხვა ტიპებისთვის არ არის რეკომენდირებული – ცხელი ცხიმიანი ბულლონები, ცხოველური ცხიმები. არ უხდებათ ჩირი, ლობიო, კომბისტო...

- ამ ოთხი ტიპის განხილვის შემდეგ უკუნალის მკითხველს გარკვეული რეზიუმე შევთავაზოთ.

- ფიქოლოგიურად პირველი არის ფლეგმატური, მეორე – სანგვინიური, მესამე – ქოლერიული, ხოლო მეოთხე – მელანქოლიური. აღნაგობით, პირველს და მეორეს ჭარბი წონისკენ აქვთ მიღდრეკილება, მესამეს და მეოთხეს სიგამბრდინისკენ. პირველს და მესამეს ენდოკრინული დარღვევები გამოარჩევა: ჰიპოთირეოზი და ჰიპერთირეოზი. მეორეს და მეოთხეს იმუნოლოგიური დარღვევები ახასიათებთ: იმუნოლოგიური ჰიპერტონია შენელებული ტიპის და აუტოიმუნური პროცესები (მეორე ტიპი), იმუნოლოგიური ჰიპერეაცია შენელებული ტიპის (მეოთხე ტიპი). ჯანმრთელი ადამიანი არცერთ ამ ოთხ ტიპს მთლიანად არ მიეკუთვნება, ის მათ შორის შუაშია, რაც უფრო გამოხატულია, სხვადასხვა პათოლოგიები, მით უფრო მეტად ადამიანში



შეიძლება იყოს ერთ-ერთი ამ ოთხი ტიპის თვისებები.

— **როგორ გეხმარებათ ამ საკითხების შესწავლა პრაქტიკული საქმიანობის დროს?**

— ყოველ ტიპს თავისი წამლები აქვს ტრადიციულ მე-დიცინაში და ინდივიდუალური დიეტა. მაგალითად ფლეგ-მატიკს მხურვალე და მშრალი საკვები სჭირდება. მანონს და მუავეებს შეუძლიათ მისი მდგომარეობის გაუარესება, განსაკუთრებით მწვავე დაავადებების დროს.

შიმშილი ყველა ტიპისთვის არ შეიძლება. მესამე ტიპის-თვის, სადაც ცეცხლის ელემენტი ჭარბობს, ფაქტობრივად, დამანგრეველია. მეორესთვის მხოლოდ სამი დღით შიმშილია რეკომენდირებული. ერთი თვე შიმშილობა პირველი ტიპისთვის არის სასარგებლო. მეოთხემ ცხელი, კალორიული საკვები უნდა მიიღოს და საერთოდ არ უნდა იშიმშილოს, ცხელი კალორიული საკვები უნდა მიიღოს თავისი

წონასწორობის დარღვევის გამოსასწორებლად. დიაგნოსტიკაში თანამედროვე მედიცინის და ტრადიციულის მონაცემების ერთობლივად შეფასება და გაანალიზება ხდება.

— **რა შედეგი აქვს თანამედროვე ევროპულისა და აღმოსავლეური ტრადიციული სამედიცინო სისტემების სინთეზს?**

— თანამედროვე ევროპული მედიცინა ქრონიკულ დაავადებებს, როგორიცაა — ჰიპერტონია, შაქრიანი დიაბეტი, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ფსორიაზი და სხვები ბოლომდე არასოდეს მკურნალობს. ტრადიციული სამედიცინო სისტემები ბევრად უფრო ეფექტურია მათ აღმოსავლეურელად. ამიტომ აღმოსავლეური და დასავლეური მედიცინის სინთეზს დიდი მნიშვნელობა აქვს, დაავადებების პრევენციის, კომპლექსური მკურნალობის და რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

— **ჩვენ ადრე ვისაუბრეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისთვის წყლის მიღებას. რა რაოდენობის წყალი უნდა მიიღოს ადამიანმა თავისი კონსტიტუციის გათვალისწინებით?**

— საერთოდ, რეკომენდირებულია, სხეულის ერთ კილოგრამზე 30 მლ. წყალი. სასურველია მეორე და მესამე ტიპის ადამიანებისათვის. ადამიანის პირველი ტიპის ორგანიზმი 2-3 ლიტრ სითხეს ვერ აიტანს, ასევეა შეოთხე. მათ თაფლიანი წყალი უნდა დალიონ. წყლის მიღების კულტურაზე დამოკიდებულია წონის კორექციაც. ვისაც ჭარბი წონისკენ აქვს მიღრეულება, დილით 300-500 მლ. წყალი უნდა მიიღოს. დანარჩენი ყოველი ჭამის შემდეგ ერთ საათში. ვინც გამხდარია, წყალი უნდა მიიღოს ჭამის დროს. ასე რომ, ტრადიციული სამედიცინო სისტემების განვითარება, მუდმივი ანალიზი და მათი გათვალისწინებით სწორი მკურნალობა გამოჯამრთელების წინაპირობაა. სამედიცინო პირველწყაროებიც, სწორედ, ამას გადმოსცემს.

ლელა სურმავა

ელემენტი	წყალი	ჰაერი	ცეცხლი	მიწა
ბიოლოგიური სითხე	ბალამი	სისხლი	ბაფრა	სევდა
თვისებები	გრილი და ნოტიო	მხურვალე და ნოტიო	მხურვალე და ხმელი	გრილი და ხმელი
პათოლოგიური რეაქცია	პიპორეაქცია, პიპოთეოზი, მიკროლემნებების უკმარისობა	პიპორეაქცია, ალერგია, აუტომუნური პროცესები	დესტრუქციული რეაქცია, პიპერთირები	იმუნოლოგიური პიპერერეაქცია შენელებული ტიპის
ემოციები, ფსიქიკა	შიშები, ფლეგმატიკი	გაღიზიანება, სანგვინიკი	აგრესია, აუტოაგრესია, ქოლერიკი	დეპრესია, მელანქოლიკი
ფიზიკური აღნაგობა	პიკნიკური კონსტიტუცია	წონაში მომატება დაავადების გამო	წონაში დაკლება დაავადების გამო	ასთენიური კონსტიტუცია

ნარმართული ღმერთი და განკაცებული მუსიკები

ჭაბუა ამირეჯიბი სამუშაო მაგიდას-თან იჯდა, ახლოს მიმიყვანა და შუბლზე მაკოცა. მწერლის მეუღლებ მოთხრა – თქვენ საოცარ ძალას იგრძნობთ, ბერმა დავითმა დაგლოცათ.

– რა გაკავშირებთ ძირძველ კუთხეს-თან სამეგრელოსთან?

– სამეგრელოსთან მაკავშირებს ის გარემოება, რომ ქართველი ვარ, მეოთხედზე მეგრელი, მეოთხედზე გურული და ორ მეოთხედზე ქართლელი. მეოთხედზე მეგრელი იმიტომ, რომ დედაქემის დედა, სიფიონ ნიკოლოზის ასული დადიანი გახლდათ და მას დედა ჰყავდა აფხაზი – თამარ მიხეილ შერვაშიძის ასული, მეოთხედზე გურული იმიტომ, რომ ამ ქალბაზონ სოფიონ დადიანს ქმარი, ანუ ბაბუაჩემი, გურული მიხეილ ნაკაშიძე გახლდათ. ორ მეოთხედზე ქართლელი იმის წყალობით, რომ მამაჩემი ქართლელი იყო – დედით მაღალაშვილი და მამით ამირეჯიბი, ბებია კი იმერელი თავადის ასული – როდამ ჯოხთაბერიძე ჰყავდა. თავად განსაჯეთ, როგორი ქართველი ვარ. მეტი ქართველობა არა მგონია შესაძლებელი იყოს.

– ვინ არის დათა თუთაშხია, მისი პროტოტიპი, როგორ შეიქმნა ეს გმირი?

– თუთაშხა ძევლი ქართული, ნარმართული ღმერთი იყო მთელი საქართველოსი და ბარემ აქვე ვიტყვი, სამეგრელო მთლიანი საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილად მიმაჩრია. ამიტომ ამოვარჩიე რომანის მთავარ გმირად განკაცებული თუთაშხა, უფრო კი იმ გარემოების გამო, რომ მეგრელთა ტომი სხვა ქართველ ტომთაგან მეტად მრავალრიცხვანია და არა იმიტომ, რომ მეოთხედზე მეგრელი ვარ თავად. ერთი რამ არის კიდევ საინტერესო: პატიმრობაში შემხვდა ერთი მეგრელი კაცი – საჩინოელი გლეხი – გურა შელია, ლირსეული პირვენება და ტიპიური კოლხი. მისი დაპირისპირება მის დიდინოსან ძმასთან და ხელისუფლებასთან ჩემი რომანის ქარგად დავუდე. მეტი დამთხვევა აქ არის. სხვათაშორის, ჩემთან მეგობრობენ ჩინებული საჩინოელი ვაჟა-ცეტი – ძმები კვარაცხელიები – მამუკა, მაცი და მალხაზი. ერთხელ მეც მიმიწვიეს საჩინოში და დიდად ვისიამოვნე.

– ვინ არის მუსტაფა შელია და რა გაკავშირებთ მასთან?

– მუსტაფა იყო მამით შელია, დედით – აბდუშელიშვილი. ის კარგად განათლებული და თავდადებული ქართველი გახლდათ, თბილისელი კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ არასრულნლოვანებაში ხვდა წილად ბოლშევიკე-



ბის ტრიბუნალის სასჯელი ქართული პატრიოტიზმისთვის. დაბრუნდა სტალინურ-რუსული ბანაკებიდან და ქართველი მოღვაწების – ლევან აბდუშელიშვილისა და შალვა სვანიძის მიერ დაარსებული ეგრეთ წოდებული კონტრევოლუციური ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის მეთაურობა იტვირთა; ეს იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც გახდი ჯარიდან დაბრუნებისთანავე. აქვე ვიტყვი: ჯარში ნამიყვანეს უფროსის რადისტის რანგში, ვინაიდან ელექტროტექნიკუმი მქონდა დამთავრებული. ეს ტექნიკუმი გასამედროებული იყო, ამიტომ მქონდა უმცროსი ლეიტენანტის წოდებაც, მაგრამ ერთი წლის მეტი იქ არ მიმსახურია, გამომაგდეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო ოჯახის შეიღი, თორემ იმ ნანილებს ფრონტთან საერთო არაფერი ჰქინდათ – თბილისისა და გრიზნოს სამხედრო აეროდრომების მომსახურება ევალებოდათ,

„თეთრი გიორგი“ ანტისაბჭოთა საქმიანობა მაღე გაიგეს ჩეკისტებმა და ორგანიზაცია ერთიანად გაანადგურეს. რაც შეეხება მუსტაფა შელიას, – იგი 1943 წლის ნოემბერში მოკლეს ჩეკისტებმა ურთიერთსროლაში, მისი თანამებრძოლები კი – ზოგი დახვრიტეს, ზოგი დიდი ხნით გადაასახლეს; მათ შორის მეც. სასჯელი არც დედაჩემს ასცდა – 10 წელი მოიხადა შეიღილის დაუსმენლობისთვის. მუსტაფა დიდი ვაჟა-ცეტი იყო, ნათელი დაადგეს მის სხვონას და სამარეს; თუმცა, რა სამარეზეა ლაპარაკი, მხოლოდ ღმერთმა იცის, – სად დაფლა ჩეკიმა მუსტაფა შელია, ისევე, როგორც 1938 წელს დახვრეტილი მამაჩემი – ერეკლე ამირეჯიბი...

– ბატონი ჭაბუა, თქვენი პირველი ნანარმოები.

– ჩემს პირველ გამოქვეყნებულ მოთხრობას ერქვა – „რატომ არ დამაცადე“. სხვათაშორის მოგახსენებთ, – წერა, მწერლობა ბავშვობიდანვე

„მჭრიდა“. პატიმრობაშიც ვწერდი, მაგრამ მაშინდელი თითქმის არაფერი შემომრჩა, – ჩეკისტები მართმევდნენ, აკრძალული იყო. ამ მოთხრობის გამოქვეყნება შემდეგნაირად მოხდა – დავწერე პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მივიტანე უურნალ „მნათობში“, რომლის მთავარი რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი იყო. პროზის განყოფილების გამგებ – არჩილ სულაკაურმა მითხრა – დატოვეთო. მაგიდაზე დავუდე, მანქანაზე ნაბეჭდს დახედა, ჩემი გვარ-სახელი წაიკითხა და მეითხა, რომელი ჭაბუა ამირეჯიბი ხარო? მივუგე – სენია არ მყავს-მეტები. დეკემბრის ბოლო იყო, უურნალის იანვრის ნომერი უკვე სტამბაში გახლდათ. წაიღო არჩილმა, წააკითა სიმონს, ვიღაცის მასალა ამოიღეს და ჩემი მოთხრობა იანვრის ნომერში დაიბეჭდა. ასე გავხდი მწერალი.

– ყველაზე მძიმე პერიოდი თქვენს ცხოვრებაში.

– რა თქმა უნდა, თექვსმეტწლიანი პატიმრობა, რის მანძილზე რამდენომე გაქცევაც მოვახერხე. ისე კი, თუ სიმართლე გნებავთ, ისეთი ხასიათის კაცი ვიყავი და ვარ დღესაც, რომ პატიმრობას და გაქცევას ღმერთის მიერ მონიჭებულ ხევდრად ვთვლიდი და არც ამ ხევდრის სიმძიმე მიმართდა აუტანლად. შეიძლება ითქვას, თავი მომწონდა, რომ საქართველოსთვის ვიყავი ამ დღეში.

– როგორ მოხდა თქვენი ბერად აღკვეცება?

– ეს პირდაპირი შედეგია იმისა, რომ მძიმე ცხოვრებაში გამარჯვებები ღმერთის წყალობაა, ზეცამ მარგუნა. სხვა რა უნდა მნამდესა და რა სახის ცხოვრება უნდა ამერჩია საუკუნეს მიახლოვებული ასაკის ადამიანს!?

– როგორ ცხოვრებისთვის იძრძოდა ჭაბუა ამირეჯიბი, რას ხედავთ დღეს?

– ჩემი წინაპრებისა და მთლიანად მოდგმის ერთადერთი თუ არა, – უმთავრესი მიზანი ქართველი ერის დამოუკიდებელი და თავდასახლება იყო. ამას შეენირა ჩემი წინაპრების უმრავლესობა და მათი მსხვერპლი ადგენერაცია არა მარგუნა მაღალმა ღმერთმა.

მენატრება ჩემი და თქვენი სამშობლოს ღირსეული მომავალი და ვერ ვხედავ დღევანდელობაში ამის განმანახორციელებელ ძალას, გარდა ერთი კაცისა – ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ. დღეს, თუ რამ კარგი ხდება სა-ქართველოში, მისი დამსახურება, რა-დაგან მისი ჯიბრილი კეთილდღე ასეა ეს!

ლელა სურმავა ჭაბუა ამირეჯიბი – ბერი დავითი 2012 წლის 19 მარტი

თეატრის სცენის, მას იზამს...

საქართველო ყოველთვის იყო და დღესაც არის მსუსე, თან გამორჩეულად გემრიელი ლუკა სხვათათვის. უმრავლეს შემთხვევაში, ქართველთა დიდ ნაწილს, დამწვარი მჭადის ქერქი თუ ერგო.

ასე მოხდა მაშინ, როცა XX საუკუნის გარიურაჟზე, სურებში ინგლისელი კაპიტალისტი ელიოტ სკოტი გამოჩნდა. – საიდან, სადა? – ალბათ, იკითხავთ. მუდამ რაღაცას ეძებენ ამ ერთ მტკაველა მინაზე და ახლა მინაშიც მიძვრებია? – ბუზლუნებდნენ ლანჩხუთელები, სადაც ბელგიელი კაპიტალისტი გრიუნერი 1894- 1914 წლებში, მთელი ოცი წელი ნავთობსაძიებო მუშაობას ენეოდა, თუმცა აქაურებს არავითარი ხეირი არ უნახავთ. „სწორედ, ბელგიელმა გრიუნერმა მოიყვანა ელიოტ სკოტი გურიაში, სოფელ ბუკისცი-სეში. ინგლისელი რაფიელ შარაშიძის იჯახში დაბინავდა. ბუკისციებში დიდი თათბირი გაიმართა, მონვეული იყვნენ თავადები – თომბ, ჯაბა, ივანე ერისთავები, აზნაურები სურებიდან – ბიბინებიშვილები. თავად რაფიელს სურების ტყის მოზრდილი ნაწილი ეკუთვნოდა. გურიის თავადებს დიდი სურვილი ჰქონდათ ამ ტყით, ქვეყნისა და (სული ცოდვილი), თავადაც ხელი მოეთბოთ, მაგრამ მიუვალი იყო, რა უნდა ექნათ? თავადაზნაურობა გლეხებს უფლებას არ აძლევდა, ამ ტყეში, თუნდაც ერთი ტოტი მოქრათ“.

თათბირის მონაბლეებს ელიოტმა პირველსავე მოლაპარაკებაზე თითოეულს 500 მანეთი ოქროთი გადასცა, ადგილობრივ რჩმუნებულად ქიშვარდი შერვაშიძე დანიშნა. მას სურებში სამუშაოს დასაწყებად 300 კაცის მობილიზება დაევალა. მუშებს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდათ – ასეთი დაპირება იყო.

ამ მუშათა შორის იყო ბაბუაჩემი, კირილე ბერიშვილი, რომლისგან ბავშვობაში ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ასევე ბევრი რამ არ მახსოვეს, ყველა მისი ნამბობი რომ ჩამენერა, საინტერესო ამბები ხომ არ დაიკარგებოდა?

უკიდურეს სიღარიბეში მყოფ სურებლებს ამ უნიკალური ტყის გაჩეხვა ენანებოდათ, მაგრამ მათვის ეს ქონება უსარგებლო იყო, ამიტომ შეთავაზებას იოლად დათანხმდნენ.

დღეს ერთი რამ არის გულსატკენი, ორ დღეში სურებში 300 კაცი მოგროვდა, მეტიც იყო მსურველი, მაგრამ ადგილი აღარ დარჩა! არც მინდა ვიკითხო, ახლა რამდენ კაცს მოაგროვებენ სურებში?

პირველი ხეები დაბლა, სუფსის პირას მოჭრეს კარვების ასაგებად. ხე რომ ნაცეცულა, ერთ მუშას ცრემლი მოერია, მაგრამ სხვებს უთქვამთ – ჩვენ, ურგები ქოთანი ქვას და ლობიე ძალლს!და სინანულის გრძნობაც დაიკარგა!

ინგლისიდან მონვეული სპეციალისტები თავადებმა სურებში დიდი პატივით აიყვანეს და კარვებში დააბინავეს. მრავალი თათბირის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დამზადებული მორების გატანა სურებიდან შეუძლებელი იყო.

– ტყე, სუფსა, შავი ზღვა... – რუეას დასცეკრის ინჟინერი.

– სუფსა, შავი ზღვა... ხმელთაშუა ზღვით პირდაპირ ინგლისში! – აცხადებს ელიოტი.

– მაგრამ გზა? – კითხულობს ინჟინერი.

– გავიყვანოთ რკინიგზა – ამბობს ელიოტი.

– ძვირი დაჯდება, ვალში ჩავვარდები – ამბობს მრჩეველი.

– მაშინ მდინარით – გადაწყვეტს ელიოტი.

– მდინარის კალაპოტი სავსე რომ არის ღრანტებით და

კლდეებით? ტივები მასში არ გაიმართება – წუხს ინჟინერი.

– გადაწყდა – სუფსის კალაპოტი უნდა აფეთქდეს! მერე ლანქერი გვიშველის – ამბობს ელიოტი.

დეპეშას ინგლისში მიაქვს დავალება – სურებში სასწაფოდ გამოგზავნონ ასაფეთქებელი მასალა.

პირველი ბუნები სარეაში

სურების უღელტეხილზე ასაფეთქებლები დაიწყო. ტყის შუაგულში გზა შედობა, სიპეს ჯერ ხვრეტდნენ, მერე შიგ ლალუმებს აწყობდნენ და ინგრეოდა დაუდგენელი დროის სუფსის ხეობა. უმოწყალოდ იჩეხებოდა ათასწლოვანი ცაცხვი და ნაბლი, ნაძვი და ფიჭვი, თელა და ურთხელა.

პირველსავე ხელფასს უკავალი დაიწყო – ნამეტანი ხელდამწვარი ჩანა აი ელიოტე, ჩხოის კეკალს ვერ გააგდებით ხელიდან – აწუნუნდნენ გლეხები.

განაწყენება ელიოტის სხვა თვისებებმაც გამოიწვია. სურებლები უცხო ჯილაგის კაცს ვერ შეეწყვენ.

ინგლისიდან ჩამოტანილი სამუშაო იარაღები თვალს ახარებდა, საუკეთესო ხარისხის ბირდაბირე ხერხი, ნაკატი, ნაჯახი, ბურლა მზეზე ლაპლაპებდა. ერთ მუშას, გვარად ბარამიძეს, მუშაობის დროს ნაჯახი ქვაზე დაუკრავს და ხელსაწყოს პირი დაბლაგვებია. მეორე ხელფასზე მას ნაკლები ფული მისცას. როცა მიზეზი იყითხა, ელიოტმა უთხრა – ნაჯახი რომ გააფუჭებ, მისი მოსაპირავი ფული გამოგიქვითო.

ბარამიძემ ფული დახია, ელიოტს სახეში შეაყარა და მიაფურთხა. გადაგლეჯილი ხელის გულები აჩვენა და უყვირა – ამის გასამოელებელი ფული მომეცი, თორემ ნაჯახით შეაში გაგჭრიო.

ელიოტი მომში კაცი იყო, მაგრამ თავადების და ხელისუფლების იმედი ჰქონდა. ქიშვარდი შერვაშიძე ველარც თვითონ იტანდა ამ „ფისის მწურავ“ ინგლისელს და „იორქშირს“ (ინგლისურად ღორის ნიშნავს) ეძახდა.

ამ შედაგებამ თავი „ოუჩხრიკა“ სურებში დაწყებულ რევოლუციურ განთიადს. ჯერ ცეცხლი „ძულე ბუზუნობდა“ (ძლივის ინთებოდა), რის გაძლიერებასაც ხელი შეუწყო ტყები დათიკო შევარდნაძის გამოჩენამ. დათიკოს მოყვა სამეგრელოდან რევოლუციის მხარდამჭერები. ყველა მოვლენას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე, არავინ მიწყენს და არც ტენდენციურობაში ჩამითვლის იმას, რომ სურებში ნიჭირი, მედგარი და გარეგნობით გამორჩეული თაობები გამოიზარდნენ. მათ გათვითცნობიერებას უნდა რად ელიოტმაც შეუწყო ხელი. პოლიტიკურ ბრძოლებშიც ამიტომ აღმოჩნდა ბევრი სურებელი, იმ ტყეში მუშაობის დროს მათ გადაედოთ იქ ასული პროპაგანდისტების თვისებები. სურებში რევოლუციისათვის მებრძოლთა სერიოზული ძალა ჩამოყალიბდა. რევეკომში გაერთიანებულმა სურებლებმა გადაწყვიტეს:

– აა, ელიოტე მართლა ღორია, ვინცხაა. მოგვისპო აი ტყეი და ჭერებზე დაგვტია, კაპიკებს გვითვლის. ჩვენ მაგიდან ვეფურ ხეირს ვერ ვნახავთ, გავაქციოთ აი ძუნკალი კაძახი და მორები ჩვენ შეგვრჩება. როვა, არ გვეკუთვნის თუ?

სურების ბუნების ამბავმა ხელათ ჩააღნია ოზურგეთამდე. საქმეში ჩართული თავადუნაურები ყველა გზით ცდილობდნენ ბუნტის ჩაქრობას. ახლა გლეხებსა და მათ შორის დაიწყო უკავიფილება.

– თქვენ რა გენალვლებიერი, ბაბა, 500 ოქრო ხელში გაქვენ.

ამათ გამოსაცხოპი ჭადი არ აქვენ ამ სალამოს. პანე ჭკუიანათ იყაით თვარია, თუ გადვირიეთ, აღმასხანეს ვარესს დაგმართებენ აი გამნარებული ხალხი. ხომ გახსოვლარიენ, ელიოტეს დაპირება? სადაა მერე? (აღმასხან ბედინებიშვილმა, ზემო სურებელმა გლეხმა, ბუკისციხეში თავადი ზურაბ ერისთავი მოკლა. რ. ბ.)

შეშინდა ელიოტი და ხელფასის მომატების პირობა დადო. თავადების დახმარებით, კიდევ ერთხელ მოტყუდნენ სურებლები.

— სანამ თოვლი დაიდება, სუფსის ნაპირების დარჩენილი ნაწილი დახვრიტეთ, სალალუმეთ გამზადეთ, გაზაფხულზე ადრიანათ დავიწყოთ მუშაობა, ორმაგ ხელფასს მოგცემთ ახალ ნამუშევარში ძველ ვალებთან ერთად.

კატორდულმა შრომამ და ზამთარ-ზაფხულ წყალში გდებამ ჭლების შემთხვევები გაახშირა. არ იყო ნამალი, ექიმი და საჭმელი. იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა სურებში, ელიოტი არ ჩანდა, ბუკისციხეში იმალებოდა. სურებლებმა ქიმვარდი შევარდნაძეს თხოვეს:

— ნახე ელიოტე და გადაეცი, — თუ არ ამოსულხარ, ჩვენ ხელშია აი ლალუმები, როვაც გაშვანავს, ამ მორებს აგიფე-თქებთ. ამოი, ექიმი ამეიფ-ვანე, ნამალი ამეიტანე და ამდენი მასალიდან ერთი პატარა საავადმყოფო მაინც გაგვიკეთო.

ისევ თავადაზნაურობა ჩადგა შუაში, ელიოტე სურებში აიყვანეს, მორიგდნენ. ისევ გაჩალდა მუშაობა, ერთ თვეში 10 ათასი მორი დაამზადეს. ერთი კვირა მიმდინარეობდა მორების დათვლა, ბაბუაჩემიც მოხანილობდა.

— კი, ბაბუა, 10 ათასი იყო, სამჯერ გადავთვალეთ — მიდასტურებს ბა-

ბუა და ლარის წყალში ლარებს აწყობს დასალბობად. ტკერი დელეში აქ ჩაწყობილი, გოდრის ლობვა უნდა დაიწყოს.

— გაგვააბდლა შაგ ოჯახქორმა ელიოტამ. მინის მეტი რა გვერდნდა. ფულის საშოვარად ნავედით, ოჯახს ხელი დავკელით და აფერი...

— აფერი არ მოცენ, ბაბუა?

— აფერი ბაბუა, არასაფერი არ შეგვრჩა ბოლოს, გამშპარი ტყავის გარდა.

გაესვეა

10 ათასი მორი!!! ... და რომ გამოხედავდი გაღმიდან ტყეს, არც ეტყობოდა, თუ რამე აკლდა. ამიტომ ელიოტი კიდევ აპირებდა მუშაობის გაგრძელებას. მარა, კაცი ბჭობდა და ლმერთი იცინოდა! დათვლის დამთავრების შემდეგ ერთნაირად ცქმუტავდნენ სუფსის პირას ელიოტი და სურებლები. გამზადდა პირველი ქარავანი ინგლისისკენ, დღე-დღეზე ინგლისიდან წამოსულ ფულს ელიოდნენ სურებლები.

მაგრამ სურებლებს ვინ მისსა ამის ბეჭი?

მორები მეტად მიძიმე აღმოჩნდა და სუფსამ ვერ დაძრა. ელიოტს დანა პირს არ უხსნის! სურებლებს დანა რომ დაქრა, სისხლი არ გამოუვათ!

— ოზურგეთში ჩავალ, ფული იქნება ჩამოსული. მთავრობას ვთხოვ დახმარებას, რამენაირად გავიტან ამ ხე-ტყესო — ხმადაბლა ჩაიდუღუნა ელიოტმა და ნავიდა.

ისევ მოტყუდნენ სურებლები, ისინი თურმე უკანასკნელად ხედავდნენ ელიოტს.

ელიოტი თბილისში ჩავიდა და მეფისნაცვალს თხოვა დახმარება. მან ურჩია კონცესიონერს გაესაჩინებინა ეს საქმე და რევოლუციის ქარბუქით ანრიალებულ ქვეყანაში დაბანდებული თანხის ანაზღაურება სხვა გზით ეცადა. ელიოტი ინგლისში გაიქცა, რადგან ეშინოდა, გამნარებულ სურებლებს, რევოლუციის სახელით, ხელში არ ჩაეგდოთ ხელმოკარული ელიოტ სკოტი.

ამ დროს გურიაში 1905 წლის ცეცხლი გიზგიზებდა.

ვის დარჩა უდიდესი სიმღიდერი?

ამბავი ამოდიოდა სურებში, ელიოტი მოდის, ხე-ტყეს ხელი არ ახლოთო, მთავრობასთან შეთანხმებულია და ერთი ხეც რომ დააკლდეს, ეგზეუციას ჩამოგიყენებორ.

შეშინდნენ სურებლები. იცოდნენ, რაც იყო ეგზეუცია. გავიდა, ზამთარი, ზაფხული, კიდევ ზამთარი. ელიოტი არ ჩანდა!

სურებლებმა მოინდომეს ხე-ტყის დანაწილება და ამ გზით თავის გასტუმრება, მაგრამ თავადებმა და აზნაურებმა არც ეს დაანებეს გაწინილებულ ხალხს — ხელი არ ახლოთო! მაშინ მუშებმა თავადს დაუფიცეს — არც თქვენ ახლოთ ხელი, თვარა ამ ელიოტეს ნაჯახებით დაგაკლავთ მაგ მორებზეო.

ხე-ტყე დალპა. ელიოტეს სახელი ავ მოგონებად შემორჩა! დიდის პატივით მიღებული სტუმარი მწარე მოგონებად დარჩა სურებში. ფულიან კაცს რაზერ ფუტრის ნაყარივით შემოეხვევა გარს გაჭირვებული ხალხი, ამის მაგალითი ბევრი გენიახავს! ელიოტიც მიპატიჟებებს ვერ უთავდებოდა (ოღონდ თავად-აზნაურობისება). ბევრმა ბავშვიც მოანათვლნა, ძევრს ნათლიის სახელი დაარქეს! მისი გაქცევის შემდეგ, იმ წამოზრდილმა ნათლულებმა, აღარ ისურვეს, ელიოტი რემეოდათ და სახელი ილიად გადაიკეთეს! ელიოტეს ნაჯახი, ელიოტეს ბირდაბირე — ბავშვობაში მინახავს მეზობელთან გულდაგულ გადამალული ნივთები.

სურებლებს რა?

ძვირფასო მეტიხველო! ბოდიშს გიხდით, რომ სათქმელი ვერც მთლიანად ვთქვი და ვერც ისე, როგორც მსურდა, მაგრამ საუკუნეზე მეტი წენის წინანდელი ამბავი დღე-საც რომ მეორდება, ეს არის უფრო სავალალო. ვფიქრობ, სურებლებს ჯერ კიდევ დაუკარგავ წარსულზე (ბევრი რამ უკვე დაიკარგა), ვწუხვარ — ნუთუ ისევ ელიოტეს ეპოქაში ჩავრჩით? რა მოხდებოდა, მას რკინიგზა რომ გაეყვანა სურებში? ალბათ, ის ფარჩხსაც არ დატოვებდა სურებში, მაგრამ რაც დატოვა (დაულპობელი), სურებლებს რა?

სურებლებს დარჩა ის გზა, რომელიც მენშევიკების გაქცევამდე ნოე რამიშვილის გამოგზავნილი ასაფერებელი



ცურების გზა

ლი მასალებით გაკეთდა. ხალხმა მაშინ შეძლო, საკუთარი ძალებით გაეყვანათ ეს გზა.

ხელისუფლებაც ბევრჯერ შეიცვალა და ხელისუფლა-ნიც, მაგრამ სურების გზა – სასიცოცხლო არტერია, არ შეცვლილა, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ არც მეტი, არც ნაკლები, სურები მაღლე მოკვდება.

შარმან ზაფხულს, ნოე რამიშვილის შვილიშვილი, მი-შელი მშობლიური სოფლის ცენტრში საუბრობდა. სურების მთებიდა „ჩამოგლიჯინებული“ ურალები შეჩერდნენ, მა-გრამ მიხვდნენ რა, უცხოელები იყვნენ, სარკები შეაბრუ-ნეს და გაიქცნენ!

დიახ, გაექცნენ დამოუკიდებელი საქართველოს პირვე-ლი თავმჯდომარის შვილიშვილს, რომელიც ოცნებობს ბა-ბუას ნაფეხური მინა დაიბრუნოს (თითქოს არ ეკუთვნის?) და პატარა მუზეუმი მოაწყოს ნასახლარზე. ვერ გაერკვა მიშელი და მისი თანმხლები პირები, რა ხდებოდა, სად მი-დიოდა ეს სიმდიდრე და რატომ არ ჰქონდა ამ შეუფასებე-ლი სიმდიდრის მფლობელ ხეობას გზა? მე იქ არ ვიყავი, თუმცა თარჯიმანი ტელეფონით გაკვირვებული მეკითხე-ბოდა – რა ხდება, სად მიდის ეს მორები, რა უფლებით გლეჯენ გზას და ვინ არის მფლობელ-პატრონი?

უყურადღებოდ მიტოვებულ სურებლებს ახალი იმედი გაუჩნდათ, ეს იმედი ამ ცოტა ხნის ნინ ჩატარებულმა სა-ხალხო ყრილობამ გააჩინა, რაც ადგილობრივების ინიცია-ტივით ჩატარდა.

სურებლებს ადგილობრივი ხელისუფლების იმედი აქვთ. ნინა მთავრობამ უკანონო კანონი მიიღო და ამ კანონებით დღესაც ცხოვრობს სუფსის ხეობა. ვინ გაასხიასა სურების ტყე? რამდენი ხნით? სად არის სათანადო დოკუმენტაცია? სად მიდის ეს სიმდიდრე და რა უფლებით „გლეჯენ“ მძი-

მეწონიანი მანქანები სურებლების გაკეთებულ გზას? დიახ, შიშველი ხელებით, ხარები და ცხენები არ ჰყოფნიდათ, თავად ებმებოდნენ არნაბში (არნაბი მოთხრილი მიწის გა-სატანი მოწყობილობა). არც ესაა მთავარი პრობლემა! სუ-რებლებს საკუთარ ეზოში, თავისი გაზრდილი ხის მოჭრის და გამოტანის უფლება არა აქვთ. არც კუბოს ფიცარი ეშო-ვებათ! მრცხვენია ამ ფაქტებზე საუბარი, მაგრამ მოიკი-თხეთ, თუ ასე არ არის!

ღმერთმა ნუ ქნას, საქმე პროცესტის გამოხატვამდე მივიდეს, ეს არ სურთ სურებლებს! თუ დედის ძუძუ ხეო-ბის მყვლეფებს ხელიდან არ გამოვაცალეთ, ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარებს სურების სიკვდილს! არც იმას ვთქიერობთ, ციციკორეს ეპოქში დაბრუნდეთ, მაგრამ არ-სებულ, სურების გამანადგურებელ კანონს ჩვენი კანონით შევცვლით. როგორ? – ალბათ, გაგიკირდებათ.

„თემს რაც სწადიან, მას იზამს,

თავისი თემიბის წესითა“... (ვაჟა-ფშაველა)

– მერ სადღაა თემი? – ახლა იკითხავთ?

არის! ძალიან დიდი და ძლიერი თემია სურები. სად აღარ არიან, მაგრამ სურებლები არიან და დედის რძე ენა-ტრებათ.

...და ერთი დაძახილი კმარა!

ქუდიე კაცი და მანდილზე ქალი!

– შეიკრიბება თემი და დასვამს კითხვას – ვის ეკუთვნის დედის რძე?

– შვილს! – ამაში ვერავინ შეედავება სურებლებს!

და აღარ დაელოდებიან პასუხს, ისე დაიბრუნებენ პირი-დან გამოგლეჯილ დედის ძუძუს.

რუსუდან პერიშვილი



ფუტკარს მეთაფლია ფუტკრის სახელწოდება აპის მელიფერა (*Apis mellifera*) მისცა კარლ ლინეიმ 1753 წელს.

ძველ ეპრაელთა ტრადიციებიდან ცნობილია, რომ ახალშეუდლებულებს სკასთან და-ლოცავდნენ და უსურვედნენ მომავალ ბედნიერ ცხოვრებას და ფუტკარივით გამრავლებას.

ბერძნები თაფლს „ლვთაებრივ საჩუქარს“ და „ლმერთების საკვებს“ უნდოებდნენ და ხშირად მას იყენებდნენ სხვადასხვა რელიგიური რიტუალების შესრულების დროს.

ბერძნი გეოგრაფი სტრაბონი კოლხეთის თაფლზე წერს: „ქვეყანა კარგია და ნაყოფიც კარგია, გარდა თაფლისა, რომელსაც ჩვეულებრივზე მწარე გემო აქვს.“ კოლხებს სამხედრო ეშმაკობაც გააჩნდათ. პომპეუსის შემოსევის დროს კოლხებს გზაზე, სადაც ჯარს უნდა გაევლო, მათობელა თაფლით სავსე ჯამები დაუდგიათ, რომაელი ჯარისკაცები თაფლის ჭამით გაბრუებულან. რის შემდეგ კოლხებს ადვილად დაუმარცხებიათ ისინი.

პომეროსი – ილია და ოდისეა-ში უმღეროდა რა თაფლს, აღნიშავდა მის მაღალ კვებით თვისებებს და უძველესი დროიდან, როგორც სიცოცხლის გამახანგრძლივებელი თვისების პროდუქტს.

პითაგორა – (ძველი დროის მათემატიკოსი) ამტკიცებდა, რომ მან მოხუცებულობას (90) მიაღწია იმიტომ, რომ სის-ტემატურად იკვებებოდა თაფლით.

პიპოკრატემ – (გენიალური ექიმი) რომელიც ცხოვრობდა 2500 წლის ნინ, იკვებებოდა სისტემატურად თაფლით და იცოცხლა 107 წელი.



არისტოტელე – (დიდი ფილოსოფოსი) ძველი დროის მეფუტკრეობის მზე, ამტკიცებდა, რომ თაფლი ხასიათდება განსაკუთრებული თვისებებით.

ეგვიპტელები – რამოდენიმე ათასი წლის ნინათ იცნობდნენ თაფლის სადე-ზინფექციო თვისებებს. ისინი თაფლს ხმარობდნენ მუმიების დასამზადებლად, რადგან თაფლი ხრწნის და ლპობის პროცესების საწინააღმდეგო საშუალებებად იყო მიჩნეული.

ალექსანდრე მაკედონელის გვამი შუა აზიდან საბერძნეთში თაფლში შენახუ-ლი ჩამოასვენეს, რადგან თაფლი გვამს იცავდა გახრწნისაგან.

ცეილონელები – ხორცს თაფლში ამოავლებდნენ და ხის ფულუროში ინახავდ-ნენ ერთი წლის განმავლობაში.

ეს მრავლობ ბუნების გაცისცახას, ას უნი ნახოდაომ



უკანასკნელ წლებში, ბოტანიკური ბალის საქმიანობა მნიშვნელოვანი ისახლებითა და შედეგებით ხასიათდება. ჯერ კიდევ ბევრი ამოცანა გადასაჭრელი და წამოწყებული საქმე ბოლომდე მისაყვანი. ამ და სხვა საკოსტებთან დაკავშირებით გვესაუბრება ბათუმის ბოტანიკური ბალის დირექტორი თამაზ დარჩიძე.

– ბათუმის ბოტანიკური ბალის საქმიანობის შედეგებით დან შეიძლება მნიშვნელოვანი კომპონენტების გამოყოფა. პირველი და უმთავრესი – ბოტანიკური ბალის სტრუქტურული სრულყოფა და წლიური სამუშაო პროგრამების მომზადება გახლავთ, რომელიც უმთავრესი ღონისძიებათა გეგმაა ბოტანიკური ბალის მიზნებისა და ამოცანების შესრულების პროცესში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის, ბალის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის სამსახურის ბაზაზე ჩამოყალიბდა ინტროდუქციის, ადგილობრივი ფლორისა და კონსერვაციის, დეკორატიული მებალეობისა და მეყვავილეობის, მცენარეთა დაცვისა და მებალეობა-მეყვავილეობის განყოფილებები, შესაძლებლობების ფარგლებში დაინწყო სპეციალისტების მოწვევა და ახალი კადრების მომზადების პროცესი, სწორედ, ამ კონტექსტში განვიხილავთ პროექტს „ბოტანიკური ბალის სტიპენდიანტი“. თითოეული სტრუქტურული ერთეული ანხორციელებს წლიურ სამუშაო პროგრამას, რომელიც მოიცავს ბალის წინაშე მდგარ ყველა სფეროს და ამოცანას, მასში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოს არსი, კონკრეტული მიზნები და მიღებობი, აღნერილია მოსალოდნელი შედეგები და ამ შედეგების შეფასების კრიტერიუმები...

– პირადად ვიცი რა ამ პროგრამების რაობის და მნიშვნელობის შესახებ, სასურველია, მკითხველსაც ვუთხრათ თუ რა პროგრამებია ესენი...

– ბაღში ხორციელდება: 1. მცენარეთა ინტროდუქციისა და კონსერვაციის, 2. ადგილობრივი ფლორის დაცვისა და კონსერვაციის, 3. დეკორატიული მებალეობისა და მეყვავილეობის, 4. მცენარეთა დაცვისა და მეზოლეობა-სელექციის, 5. სამეურნეო, აგრო-ტექნიკურ და სარეაბილიტაციო ღონისძიებათა და 6. ეკოსაგანმანათლებლო, საინფორმაციო და ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა პროგრამები.

სამუშაოების სწორად დაგეგმარებამ და მისმა ეფექტურმა შესრულებამ, ყველა მიმართულებით მრავალმხრივი შედეგები მოგვცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტროდუქციისა და კონსერვაციის შედეგები. მიმდინარე წლის განმავლობაში ბალის სპეციალისტების მიერ კოლექციის გაზრდის მიზნით გამრავლებულია ახალი სახეობის – 56 ტაქსონი, რეინტროდუქცირებულია – 22 ტაქსონი. აგრეთვე, არსებული ერთეული ეგზემპლარების შევსების მიზნით, გამრავლებულია 15, ხოლო გადაბერებული ეგზემპლარების შევსების მიზნით 2 ტაქსონი. მიმდინა-

რებდა დეკორატიულ-ყვავილოვან მცენარეთა კოლექციის განახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებებიც, რენტროდუცირებულია 15 ჯიში, შემოტანილია 16 ახალი დასახელების მცენარე. ბალის პარკებსა და სკერებში დაირგვ 2000-ზე მეტი ყვავილოვან მცენარეთა ნერგი. მცენარეთა ინტროდუქცია და კონსერვაცია ბალის უმთავრესი მიზანი და ამოცანაა, ჩვენი ძირითადი ძალისხმევაც ამ მიმართულებითაა. მიმართული.

– ბუნებრივია, ბალის საქმიანობა მეტად მრავალმხრივი და სპეციფიკურია, შესაბამისად, არის პრიორიტეტული მიმართულებებიც, რომელთა ნაწილი, შეიძლება საუკუნის პროექტადაც კი მივიჩინოთ. ამ კონკრეტულ კონტექსტში, მაინც რა საქმიანობას გამოყოფდით?



– 2013 წელს, როდესაც საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, ბაღმა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას უმასპინძლა, დებულებების დონეზე იქნა შეჯერებული ბათუმის ბოტანიკური ბალის სამუალოვადიანი მოქმედების სტრატეგია. მაშინ, ჯერ კიდევ პერსპექტივაში ესაუბრობდით ბალის ერთ-ერთ ისეთ მნიშვნელოვანა ამოცანაზე, როგორიცაა მერქნიან მცენარეთა კოლექციის სრული ინვენტარიზაცია. ერთი წელი გახდა საჭირო სამისიონად, რათა დასრულებულიყო მცენარეთა ინვენტარიზაციის მრავალმხრივ მოსამზადებელი სამუშაოების ფაზა. ამ პერიოდში ბალის ისტორიაში პირველად, მოხერხდა ტოპოგრაფიული რუკის შექმნა, ბალის ტოპოგრაფიული რუკა, გეოდეზიური მეთოდებითა და მეთოდოლოგიის სრული დაცვითა შექმნილი და მიბმულია კოორდინატთა ერთიან სისტემაზე. პირველი და მეორე კატეგორიის 200-ზე მეტ წერტილზე აგებულ რუკაზე, ზუსტადა გამოხაზული ბალის რელიეფი, აღნუსულია ზონალური ცვალებადობა, დატანილია ყველა გეოდეზური მონაცემი, კომუნიკაციები და ასე შემდეგ. აღნუსული რუკის უმთავრესი ღირსება კი იმაში მდგომარეობს, რომ მასზე დატანილია ბალის ტერიტორიაზე არსებული თითოეული ხე და ბუჩქი. ტოპოგრაფიული რუკის მომზადების პარალელურად, იქმნება ფიტო მონაცემთა ერთიანი

ელექტრონული ბაზა, სადაც ბალის კოლექციაში არსებულ ხესა და ბუჩქს გააჩნია დამოუკიდებელი სივრცე ინდივიდუალური მონაცემების განსათავსებლად, რომელიც საბოლოოდ, თავს იყრის ბალის ერთიან მყარ სერვერზე. მცენარის ინდივიდუალური, ელექტრონული მონაცემები საკმაოდ ვრცელია და ბევრად აღმატება მცენარეთა აქამდე არსებულ საპასპორტო მონაცემებს, იგი კომპლექსური და მრავალმხრივია, მისი გამოყენება ფართო დანიშნულებითაა შესაძლებელი.

მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, 50 ათასი მცენარისათვის დამზადდა საინვენტარო ეგრეთ წოდებული ჟეტონი (მათ შორისაა სარეზერვო ჟეტონები), საველე სამუშაო ჯგუფები ალიჭურვა ინვენტარიზაციისათვის აუცილებელი ხელსაშენებითა და სამუშალებებით, ჩაუტარდათ სათანადო ტრეინინგები საველე პირობებში მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, უკვე დაიწყო მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაცია, საველე ჯგუფები აქტიურად მუშაობენ ახალი ზელანდიის, პიმალაის, სმელთაშუაზღვის, ჩრდილოეთ ამერიკის ფოტოგეოგრაფიულ განყოფილებებში და ვარდნარში, უფრო მეტიც, საველე აღნერა დასრულდა მექსიკის ფლორისტულ განყოფილებაში.

– ბატონო თამაზ, დამეთანხმებით, მიმდინარე წელი არანა კლები აქტივობებით გამოიჩინევა საერთაშორისო ურთიერთობების, ტურიზმისა და მარკეტინგის, სხვადასხვა შემეცნებითი თუ საგანმანათლებლო მიმართულებით...

– გეთანხმებით, ბალის საერთაშორისო კონტრაქტების გალრმავება, საგანმანათლებლო აქტივობები და მიღწევები ტურიზმისა და მარკეტინგის მიმართულებით მართლაც, რომ ხელჩასაჭიდია. გერმანიაში, კერძოდ, ბონისა და მიუნხენის ბოტანიკურ ბალებში ვიზიტისა და მისი შედეგების შესახებ, აქვე იმას დავგენ, რომ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საქართველოში BGCI გენერალური მდივნის, სარა ლოდგვილდის სტუმრობასთან და კავკასიის ბოტანიკური ბალების ქალაქ თბილისში შეკრების მომზადებასთან დაკავშირებით. ასევე მნიშვნელობას ვანიჭებთ 2015 წლის საერთაშორისო ვიზიტებისა და ლონისძიების მომზადებას, როგორიცაა მსოფლიო ბოტანიკური ბალების კონგრესი (აშშ) და ევროპის ბოტანიკური ბალების კონგრესი (საფრანგეთი), ამასთან მიმდინარეობს აქტიური კონსულტაცია ბათუმში საერთაშორისო ვორქშოფის ჩატარებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია ბათუმის ბოტანიკური ბალის სამოქმედო, გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რაზეც შეთანხმება ბონისა და მიუნხენში გამართულ შეხვედრებზე იქნა მიღწეული. აღსანიშნავია, რომ ართვინის ჭორობის უნივერსიტეტში ბოლო ვიზიტის ერთ-ერთი მიზანიც, ამ კონსულტაციის გაგრძელებაა იქ გამართული საერთაშორისო კონფერენციის მონაბილებით.

მიმდინარე წელს, კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი ეკოსაგანმანათლებლო სემინარების სახით, ვფიქრობთ, რომ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის გათვლილი ეს ინიციატივა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ახალგაზრდების ბუნებისდაცვითი განათლების ამაღლების თვალსაზრისით. ბალში მომუშავე სპეციალისტებმა არაერთი სემინარი ჩატარებულ სხვადასხვა აქტუალურ და

პრობლემურ საკითხებზე, რომლებშიც მონაწილეობა დაახლოებით 200 ახალგაზრდამ მიიღო. საშუალო წამოწყებაა ასევე პროექტი „ბათუმის ბოტანიკური ბალის სტიპენდიანტი“, რომელიც კვალიფიციური კადრების მომზადებისა და ხელშეწყობის პროცესში სამომავლოდაც, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

– ბალის ვიზიტორთა დინამიკა მზარდია, რასაც მიმდინარე სტატისტიკაც ადასტურებს.

– დიახ, წელს კიდევ უფრო გაიზადრა ბალში შემოსულ დამთვალიერებელთა რიცხვი. 2014 წლის დასაწყისიდან დღემდე, ბალში შემოვიდა 180 ათასი ადამიანი, მათ შორის 125 ათასი უცხოელია. ვიზიტორთა განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა აგვისტო, ამ პერიოდში ბალს ესტუმრა 65 ათასი ადამიანი, წინა წელთან შედარებით, დამთვალიერებელთა სიმცირით გამოირჩეოდა ივნისი, როცა გარკვეული ფაქტორების გამო, ბალი კვლავ რჩება რეგიონის ერთ-ერთ უმთავრეს დათვალიერების ობიექტებდ.

– ბალის საკუთარი შემოსავლები, მეტნილად ტურიზმზე მოდის, თუმცა, რამდენადაც ვიცი, წელს, შემოსავლების ზრდაში, სხვა სეგმენტების როლიც თვალშისაცემია...

– გეთანხმებით, ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლების გარდა, ბალში მნიშვნელოვნად გაიზარდა სანერგე მეურნეობიდან მცენარეთა რეალიზაციაც, აშენდა მცენარეთა მაღაზა-სალონიც, რომელიც სამომავლოდ მნიშვნელოვნად შეუწყობს წელს ამ საქმეს.

2014 წელს ბათუმის საკრებულომ დაამტკიცა ჩვენს მიერ წარდგენილი ცვლილებების პროექტი, რომელიც გულისხმობს ბალის შემოსავლების გეგმის ზრდას 260 ათასი ლარის ოდენობით, ეს თანხები არსებულ რესურსთან ერთად, მთლიანად იქნა მიმართული ბალის ინფრასტრუქტურის შემდგომი რეაბილიტაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ლონისძიებებში... განხორციელდა ვარდან-ავსტრალიის გზის რეკონსტრუქცია, მექსიკის ფიტოგეოგრაფიული განყოფილებისა და „იაპონური ბალების“ დამაკავშირებელი ბილიკებისა და გზის აღდგენა, მუდმივმყვავილე სკვერის ერთი ნაწილის, სავანე „მზიანი ღამის“ რეკონსტრუქცია. 2015 წელს სასიამოვნო სიახლეა ახალი პანორამული გადასახედები, პესტიციდების ახალი საცავი, ასევე შემ პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილები ზღვისპირა პარკში და ასე შემდეგ.

– საკუთარ წარმატებაზე საუბარი უხერხულია, თუმცა, ის მაინც უნდა ითქვას, რომ ბათუმის ბოტანიკური ბალი წელგამართული და ლირსებით აღსავს უმკლავდება ყველა სიორთულეს და არც მიღწეული პოზიტივიური შედეგებით კმაყოფილდება...

– მართებული მიღვომაა. ბალი ყველა მიმართულებით დინამიურად ვითარდება, რაც მთავარია, მოტივირებულია თანამშრომელთა დიდი ნაწილი, რაც მიღწეული წარმატებების ძირითადი ფაქტორი გახლავთ. ვიმედოვნებ, ყველანი ერთსულოვნად, შემართებითა და კვალიფიციური მიღვომით გავაგრძელებთ ყველა წამოწყებას და მივიყვანთ ბოლომდე, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბათუმის ბოტანიკური ბალის ხვალინდელ დღეს.

**ჯემალ წულუკიძე
ბათუმის ბოტანიკური ბალის გაზეთი**



— რა იყო ბატონო ზაზა საინტერესო შარშან და რა სიახლეები გაქვთ 2015 წლისთვის?

— 2014 წელი ძალიან ნაყოფიერი იყო ოზურგეთის თეატრისთვის. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გასვლითი სპექტაკლები და საერთაშორისო ფესტივალები. წარმატებით მივიღეთ მონანილეობა კომედიების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ჩატარდა ქალაქ გორში, გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ადგილზე ჩამოვიდა 4 თეატრმცოდნე და ნახეს სპექტაკლი „თეატრი ბაირალები“ (რეჟ. ო. კუტალაძე) შემდეგ თეატრი ლირ-სეულად წარსდგა თბილისში საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც წარმოვადგინეთ „გამოდი სულო სინათლეზე, ანუ „ჭევანი გიუები“. ამავე სპექტაკლით მივიღეთ მონანილეობა ლიტვის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც 8 ქვეყნის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა წარმოდგენილი სპექტაკლები, ოზურგეთის სპექტაკლმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებული წარმატება დაიმსახურა ბელა კიკვაძის მიერ შესრულებულმა — მარგომ. დიდი წარმატებით წარსდგა ასევე რუსთავის მაყურებლის წინაშე, სადაც კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებისა და რუსთავის თეატრის ერთობლივი გადაწვეტილებით დასახელდა გასტროლის საუკეთესო მამაკაცი — გიორგი დოლიძე, ხოლო საუკეთესო მსახიობი ქალი — ბელა კიკვაძე. 100-მდე წარმოდგენა ვაჩვენეთ მაყურებელს ადგილზე. ასე რომ ძალიან დატვირთული სეზონი გვქონდა. სამწუხაროდ, ვერ ჩამოვედით ჩოხატაურში, იქ არსებული სცენა არ იძლევა საშუალებას სათანადო დონეზე იქნას ნაჩვენები სპექტაკლი. იმედი გვაქვს, რომ ეს პრობლება დადებითად გადაწყვდება და ჩოხატაურში აუცილებლად აშენდება კულტურის სახლის შენობა, სადაც მრავალი ლამაზი და საინტერესო შემოქმედებითი ღონისძიება და სპექტაკლი იქნება წარმოდგენილი.

რაც შეეხება 2015 წელს, ჩვენ ვაპირებით 8 პრემიერის გამოშვებას. მოლაპარეებები უკვე დასრულდა ისეთ რეჟისორებთან როგორიცაა: ლევან ხევიჩია, ზურაბ სიხარულიძე და სხვები. მინდა მოგახსენოთ, რომ „ანტიგონეს“ განახორციელებს ჩვენი თეატრის სამსატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე. მალე კი მისივე დადგმით მაყურებელი ნახავს „დონ შუანის დაბადებას.“ მოგეხსენებათ, ვასო ჩიგოგიძე თავდაუზოგავად იღწვის ჩვენი თეატრის აღმოჩინებისთვის და სწორედ მას მიუძღვილს ლომის ნილი იმ წარმატებებში, რასაც თეატრმა შარშან მიაღწია.

ყველა ოთხშაბათს და პარასკევს თეატრში იმართება

ოზურგეთის თეატრის საინტერესო გემოდებულების გაგები აქვს

გვესაუბრება ოზურგეთის ალ. წუნუნავას
სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი
ზაზა ჭინჭარაძე

სპექტაკლები. ახალი თეატრალური სეზონის გახსნას და დაბურვას ეძღვნება თეატრალური კვირეულები, ხდება თეატრალური კრიტიკოსების მოწვევა და სპექტაკლების შეფასება. შარშან მოვიწვიეთ რეჟისორი კანდიდ გურგენიძე, რომელმაც აღადგინა სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქმნა?“ რამაც მაყურებლის დიდი მონიშნება დაიმსახურა. ასევე შარშან დაინერგა თეატრში 10 ბალიანი სისტემით შეფასების პრინციპი და მათი ბონუსებით წახალისება, რამაც კარგ შედეგი გამოიღო.

უნდა აღინიშნოს კულტურის სამინისტროს თანადგომა, რომლის დაფინანსებით შევიძინეთ თანამედროვე კინო აპარატურა, რომელიც დამონტაჟდა მცირე დარბაზში, გადმოგვეცა საგანმანათლებლო, დოკუმენტურ-შემეცნუბითი ფილმები. ასევე სამინისტრომ დაგვიფინანსა სპექტაკლის „დონ შუანის დაბადება“ სადადგმო ხარჯი, დაგვიმზადეს პროექტის მიზანის დარღვევის დაკარგი განვითარების მიზანით. შევიძინეთ 10 ცალი თანამედროვე განათება თავისი პულტით.

უნდა აღინიშნოს ქალაქის მერიისა და რაიონის გამგეობის გვერდში დგომა და დიდი ღვაწლი კონკრეტულად ქალაქის მერის, ბეგი სიორიძის. მისი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ფესტივალებზე, გასტროლებზე გამგზავრების თუ სხვა საკითხების გადაწყვეტილებისას. ჩვენი გასვლა ლიტვაში მოხერხდა პირადად ბეგი სიორიძის დაფინანსებით. ყურადღებას არ გვაელებს გამგებელი და დეპუტატი მერაბ ჭანუყვაძე და ზვიად კვაჭანტირაძე.

— როგორია მაყურებლის დამოკიდებულება თეატრისადმი?

— ოზურგეთის თეატრს ძალიან კარგი მაყურებელი ჰყავს. აქვე დავძენ, რომ წელს გვექნება მოსწავლეებისათვის სააბონენტო წარმოდგენები, ვსარგებლობ შემთხვევით და რესურსცენტრის ხელმძღვანელს ლელა იმედაშვილს მადლობას მოვახსენებთ თანადგომისთვის.

დიდი მადლობა მედიას თეატრის ცხოვრებისადმი ყურადღებისათვის და თანამშრომლობისათვის, მაყურებელს სიყვარულისთვის და კეთილი სურვილებისთვის.

ოზურგეთის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე, რომლის სახელსაც უკავშირდება თეატრის მნიშვნელოვანი წარმატებები, გპირდებით, რომ ჩვენი სპექტაკლებით კვლავ წარმატებით წარვდგებით არა მხოლოდ საქართველოს თეატრებში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

ქვევან კულტურა

ოზურგეთის თოჯინებისა და მოქარდაცურებულთა თეატრი



თოჯინების თეატრი საწყისს შორეულ წარსულში იღებს. ის ძირითადად არსებობდა, როგორც საკულტო-რელიგიური ფენომენი და სახალხო სანახაობა. საქართველოში თანამედროვე თოჯინების თეატრი 1934 წლის 26 მაისს დაარსდა. ნორჩი მაყურებლები აღტაცებით შეხვდნენ თავიანთი თეატრის დაბადებას.

საქართველოში თოჯინების თეატრის დაარსებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კოტე მარჯანიშვილმა, გიორგი მიქელაძემ, ალექსანდრე წუნუნავამ, თედო წეროძემ, მიხეილ სარაულმა და სხვებმა.

თოჯინების თეატრის დაარსების სურვილმა საქართველოს თითქმის ყველა კუთხი მოიცვა. ასე იყო გურიაშიც, კერძოდ ოზურგეთში. აյ თოჯინების თეატრის დაარსებას წინ უძლოდა ამ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანების დვანლი. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ილია არობელიძისა და კულტურის დამსახურებული მუშაკის მიხეილ გოლიაძის გადმოცემით ჯერ კიდევ 1943 წელს ოზურგეთში მხატვარმა ალექსანდრე მურნალმა დადგა ორი თოჯინური სპექტაკლი. იმავე ხანებში ოზურგეთის კულტურის სახლის სახელით თოჯინების წარმოდგენებს მართავდნენ ა. ხინთიბიძე, ს. თოიძე, ნ. ბუტენკო, დ. ბილიხოძე, მ. გოლიაძე, კ. იაბლუნსკი, მ. ჩიკაშვა და სხვ. 1956-58 წლებში მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მიხეილ გოლიაძის ხელმძღვანელობით იდგმებოდა თოჯინური სპექტაკლები.

1974 წელს ოზურგეთის კულტურის სახლში ი. არობელიძის და გ. კვერნაძის რეჟისორობით დაიდგა კ. გოგიაშვილის „ბაქია“, მხატვარი გ. ბერეჩიკიძე, კომპოზიტორი ლ. ხინგავა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: მ. მგელაძე, ნ. ბარამიძე, ც. ომიაძე, მ. ავაქიანი, გ. ქათამიძე, ზ. ტურაზიანი, რ. ჯინჯიხაძე, გ. ომიაძე, ნ. ბასილაშვილი, ო. კუტალაძე, ო. ურუმაძე, სპექტაკლმა ნორჩი მაყურებლთა დიდი მოწოდება დაიმსახურა.

1979 წელს ოზურგეთში კულტურისა და დასვენების პარკთან გაიხსნა თოჯინების თეატრი, რისთვისაც განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინეს კულტურის განყოფილების გამგებ გივი თავაძემ, კულტურისა და დასვენების პარკის დრეკტორმა მამია ნაკაიძემ, ოზურგეთის თეატრის მსახიობებმა ილია არობელიძემ და ოთარ კუტალაძემ. მათ გვერდით დაუდგნენ ქუთაისის თოჯინების თეატრის დირექტორი გერვასი ცხადაძე და რეჟისორი მურმან ფურცხანიძე. თოჯინების თეატრის რეჟისორად ოთარ კუტალაძე დაინიშნა. მის მიერ განხორციელებული სპექტაკლები, რომელშიც ძირითადად ოზურგეთის სახელ-

„ბავშვებისთვის უნდა ითამაშო ისე,
როგორც დიდებისთვის,
ოლონდ უფრო უკეთ“
კოტე მარჯანიშვილი

მწიფო თეატრის მსახიობები მონაწილეობდნენ, 10 წლის განმავლობაში ნორჩი მაყურებლებს ხიბლავდნენ.

1989 წელს არასახარბიელო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მსახიობთა პირობების გაუარესების გამო თეატრიმა მუშაობა შეწყვიტა, მაგრამ მასზე ფიქრი და ზრუნვა არ შეუწყვეტია ხელოვნების მოყვარულ, ქომაგ ადამიანებს, რის შედეგადაც 1995 წლის 1 სეტემბერს ოზურგეთის კულტურის განყოფილებასთან, რომლის ხელმძღვანელი იმუამად გახლდათ ლანერი გოგუა, დიდი სიხარულით შეხვდა ბავშვთა საყვარელი თეატრის ხელახალ აღორძინებას. ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვნელმა ვასილ ჩიგოგიძემ საბავშვო თეატრს შესთავაზა სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენა. თეატრის დირექტორად და მთავარ რეჟისორად დაინიშნა ოთარ კუტალაძე.

2001-2002 წლებში ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს“ მიერ გამოცხადდა კონკურსი – რეგიონებში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელმძღვნელისთვის. რეჟისორმა ოთარ კუტალაძემ და მხატვარმა თამაზ დარჩიამ წარადგინა პროექტი საქართველოს დამსახურებული არტისტის ილია არობელიძის მიერ ინსცენირებული ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა.“ ფონდის კომისიამ მოინონა პიესის ორიგინალური გადაწყვეტის ფორმა და თეატრმა მოიპოვა გრანტი. სპექტაკლი წარმატებით განახორციელა ოთარ კუტალაძემ, მხატვარი თამაზ დარჩია, მუსიკალური გამოწვებელი ნიკო გერაძე.

2003 წელს ოზურგეთის თოჯინებისა და მოზარდებულთა თეატრის დირექტორად დაინიშნა ლია მარტიაშვილი, ხოლო მთავარ რეჟისორად ოთარ კუტალაძე. თეატრი წარმატებით დგამდა სპექტაკლებს: „ბასტი-ბუტუ“ და „ბატის ჭუკი“, „ოქროს წინილა“, „სიურპრიზი“, „კვირის წირვები“, „ნუ იცინი, ნუ მაცინებ“ და სხვა.

2008 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მარიონეტების თეატრის დირექტორად დაინიშნა ლაშა კუტალაძე. ამ წელს შემოქმედებითი ჯგუფის მიერ წარმატებით დაიდგა მარიონეტული სპექტაკლები: „ნახევარნინილა“ (ხალხური ზღაპარი) რეჟისორი მ. ვანიძე. „კობბლე“ – რეჟისორი მ. ვანიძე, გერვატის „ბატის ჭუკი“, რეჟისორი ო. კუტალაძე, თოჯინური სპექტაკლი ე. შვარცის „წითელქუდა“, რეჟისორი



ରୀ ଠ. ଝିଜ୍ଞୀଶ୍ଵରିଲ୍ଲା. ମେହାତ୍ରିବାରୀ ତାମାଠ ଫାରିହା, ମୁସିକାଲ୍ୟୁରୀ
ଗାମତ୍ତୋରମ୍ଭେଲ୍ଲି ନିନିବ ଗାରୁପାନିଦ୍ଧୀ. ଗୁଣ୍ଡେଟି ଗୁରୁରିବି ମନାମ୍ବ-
ଦ୍ୟ ନେରିବା: “ଦାବୀଶ୍ଵରିବି ସାଧ୍ୟାର୍ଥେଲମା ତ୍ରୈଅରମ୍ଭ ନିରୀଳ୍ୟୁଦା”
ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରାବ୍ୟଷ୍ଟୁଲୀ, ଓରିଗିନାଲ୍ୟୁରୀ ଏବଂ ମାଲୋଇନ ସାନିନ୍ଦ୍ରିଯ୍ୟେ ନି-
ତ୍ୟେରପର୍ଯ୍ୟନ୍ତାପାଇ ଆହୁରିନା. ପ୍ରେଲାସାତ୍ତ୍ଵିର ସାଧ୍ୟାର୍ଥେଲୀ ମୁସିକି-
ବିଲୀର ଉପରେ ଝିଜ୍ଞୀଶ୍ଵରିଲ୍ଲିର ର୍କ୍ୟୁଶିସରନ୍ଦିତ, ତାମାଠ ଫାରିହା
ମେହାତ୍ରିବର୍ଯ୍ୟାଲ୍ଲି ଏବଂ ନିନିବ ଗାରୁପାନିଦ୍ଧୀର ମୁସିକାଲ୍ୟୁରୀ ଗାତ୍ରରମ୍ଭ-
ବିତ ଏବଂ ଧର୍ମଶ୍ଵରିଲ୍ଲିର ଶତ୍ରୁଭ୍ରତାଲମା ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରାବ୍ୟଷ୍ଟୀ ଜ୍ଞାନିତିର
ମାଧ୍ୟମରେଖିଲ୍ଲିବେ.

დღიდ მოწონება ხვდა წილად სპეციაკლებს „ყეყერი“ (იუმორისტული შოუ), სცენარის ავტორები: 6. ხუნძარია, ფ. ვასაძე, გ. გაბისონია, გ. ივანიშვილი, ს. რამიშვილი, რე-ჟისორი ა. ფარსადანაშვილი, მუსიკალური გამფიორმებელი იური ჯიჯიეშვილი, ტექნიკური რეჟისორი ამირან მგელაძე, კონსულტანტი ოთარ კუტალაძე.

გაზეთი „ალიონი“ წერდა: სპექტაკლში ჩვენი ცხოვრების რეალური ყოფაა წარმოდგენილი. როცა მშობლები ყოფითი პრობლემებითაა დაკავებული, შეილები კი „თავისუფალი, საკუთარი“ ცხოვრებით ცხოვრობენ და საუბრითაც თავისივე ენით საუბრობენ. ქუჩის უარგონი ერთგვარი ბარიერი ხდება სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ორ თაობას შორის. რეჟისორი გამოსავალსაც სთავაზობს მაყურებელს, რომელიც დროდადრო წარმოჩინდება დადგმაში. ერთ-ერთი მათგანი ქართული ენის გაფრთხილებაა. „ჩვენს ლამაზ ენას, ჩვენს დედა ენას, რაში სჭირდება უარგონი ქუჩის!“... და კიდევ, „გახსოვდეთ, რომ თქვენ დამოუკიდებელი საქართველოს შეილები ხართ. ეს არის თემის დასაწყისიც და

ଫାସାର୍କୁଳିତ”...

2009-1066 მარიონეტების თეატრს კვლავ შეეცვალა სახელი და ეწოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბაკვშვი თეატრი. დირექტორად დაინიშნა ლაშა კუტალაძე. თეატრმა წარმატებით განახორციელა იუმორისტული შოუ „სიცილის სამყაროში,“ რომელიც განახორციელა ალბერტ ფარსადან შვილმა. წარმატებით დაიდგა მ. ანთაძის „ნაცარექექიას ახალი თავგადასავალი.“ ამავე წელს განხორციელდა საბაკვშვი თეატრისა და ოზურგეთის რესურსცენტრის ერთობლივი პროექტი „ჩემი ქალაქი – ჩემი ტოლია,“ რომლის დადგმაში თეატრს დაეხმარა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ოზურგეთის რაიონული პროკურატურა.

საბაგშვით თეატრის სპექტაკლებში პერიოდულად მონაწილეობენ მსახიობები: მარიამ ჩიჩიუა, თეა ჯოვანიშვილი, ვანო ჩხაიძე, ირაკლი ვადაჭკორია, გურამ კეკელიძე, ზაზა ჯინფარაძე, ანა მელიგა, ნიკო ხარხელაშვილი, ამირან მგელაძე, ლაშა ლომჯარია, მირონისე ვანიძე, ხათუნა ჯაფარიძე, ლედი სურციძე, მარინა ქილიფარი, ალბერტ ფარსადანაშვილი.

საბავშვო თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე აქტიური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად ნორჩი მაყურებლის დიდი სიყვარული მოიპოვა. სპექტაკლიდან სპექტაკლამდე იზრდებოდა საბავშვო თეატრის შემოქმედებითი დონე.

თეატრს ბავშვთა ესთეტიკურად აღზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია და ამ ფუნქციას ბავშვების საყვარელი თეატრი, მართლაც, შესაბურად ასრულებს. ოზურგეთის საბავშვო თეატრში მაცურებელს ყოველთვის მიუხარია, იქ ხომ მათ საოცარი მშვენიერების სამყარო ელოდებათ. იქ არიან მათი საყვარელი ზერსონაჟები, სხვადასხვა ზღაპრის გმირები, თავიანთი თანატოლები. ყოველ ახალ სპექტაკლს გართობასთან ერთად აღმზრდელობითი დატვირთვა აქვს. რისა დასტურიცაა სპექტაკლებზე მოსწავლეთა სისტემატიკური დასწრება. ასევე დღითი-



დღე იზრდება მაყურებლის ასაკობრივი კონტიგენტი.

თოვჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრი სისტემატურად მართავს სპექტაკლებს ოზურგეთის, ლანჩხეუთის, ჩოხატაურის, ქობულეთისა და ბათუმის სკოლებსა და ბალებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თეატრის მონაწილეობა ერთობლივ პროექტებში. თეატრმა ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად საჯარო სკოლებში განახორციელა რამდენიმე პროექტი, რამდენიმე სპექტაკლი დადგა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრთან არსებულ სტუდია „ჩარლისთან“ ერთად. აქტიურად მონაწილეობს ოზურგეთში გამართულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში. ასევე აღსანიშნავია თეატრის მონაწილეობა ბათუმის თოვჯინების თეატრ „ბერიკების“ მიერ გამართულ საბავშვო ღონისძიებებში და ბორჯომში – ქალაქ ბორჯომის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

2011 წელს სტუდია „მუხაბბაზთან“ ერთად დაიდგა „საშობაო კონცერტი“, ამავე წელს საბავშვო თეატრმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა თურქეთის ქალაქ გერზეში, მსოფლიო საერთაშორისო საბავშვო ფესტივალზე, სადაც წარმოადგინეს მ. სუპონინის „ბუტია“ და მ. ანთაძის „ნაცარექეიას ახალი თავიადასავალი“. თეატრის მსახიობი ალბერტ ფარსალანაშვილი ფესტივალის ყველაზე ასაკოვან საუკეთესო მსახიობად დასახელდა და გადაეცა სპეციალური პრიზი. ასევე ყველა მსახიობმა მიიღო საჩუქრები. ქალაქ გერზეს მერმა ოსმან ბელოვაჯავამა საბავშვო თეატრი დააჯილდოვა სპეციალური პრიზით და მადლობის სიგელით.

თეატრი საქველმოქმედო ღონისძიებებსა და სპექტაკლებს მართავს სოციალურად დაუცველ და შშმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ყოველ კვირა დღეს უფასოდ უწევენებენ წარმოდგენებს. ასევე ყოველწლიურად იმართება 1 ივნისს ბაგშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ხოლო 1 იანვრიდან 7 იანვრის ჩათვლით ტარიდება თეატრალური კვირული.

თოვლინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკლები პერიოდულად მონაწილეობდნენ ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები: ზაზა ჯინჭარაძე, ირაკლი ვადაჭკორია, ივანე ჩხაიძე, გენადი ნიკოლაიშვილი, გიორგი დოლიძე, ნელი ბასილაშვილი, ირინა უჯგმაჯურიძე, თეა ჯიჯოებვილი, მამუკა გაგუა. მოყვარული მსახიობები: ანა მელივა, ლედი ხურციძე, ანა შენირული, ხათუნა ჯაფარიძე, მარიამ ჩიჩუა, სოფიკო ანდლულაძე, თეა ცხომელიძე, ნათია ხმელიძე, ეკა დობორჯგინიძე, აკაკი ქარსელაძე, თამილა მეგრელაძე. თეატრში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ტექნიკური პერსონალი: თეომურაზ ჩხარტიშვილი, იოსებ თამამაიშვილი, დარეჯან ცენტერაძე, თათო შათირიშვილი. თამაზ მილაძე, ჯამბულ აღმორაძე.

თამაზ კალანდაძე, მუჭამედ გორგაძე, მამია ყაზაიშვილი, გივი გოგვაძე, ბაგრატ მესხაძე, თეიმურაზ ბეგლარიშვილი, თეიმურაზ ლომთათიძე, ჯემალ ბოლქვაძე, მაია მიმინშვილი, ბონდო ჩხარტიშვილი.

აღსანიშნავია კულტურის დამსახურებული მუშავის იური ჯიჯიეშვილის დამსახურება. ის წლების მანძილზე იყო თოჯინების თეატრის მსახიობი, დამდგმელი რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი. ბატონი იური დღესაც აქტიურად არის ჩაბმული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში.

ასევე განუსაზღვრელია მხატვარ თამაზ დარჩიას წვლილი. მის მიერ გაფორმებული სპექტაკლები, სიხალისეს მატებდა მაყურებელს. იგი 15 წლის განმავლობაში იყო საბავშვი თეატრის მთავარი მხატვარი. ასევე აღსანიშნავია მხატვრების მირონისე ვანიძის და ნინო კეჭაყაძის დამსახურება თეატრის შემოქმედებით განვითარებაში.

მნიშვნელოვანია, აქარის დამსახურებული არტისტის ვახტანგ გიგინეშვილის წვლილი თოჯინების თეატრის მსახიობების პროფესიულ დაოსტატებაში. ვახტანგი ორი წლის განმავლობაში იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რამდენიმე სპექტაკლით გაამდიდრა თეატრის რეპერტუარი.

საბავშვო თეატრს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ლია მარტიაშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი

შეიტანა თეატრის წინსელასა და განვითარებაში.

ამჟამად, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს წარმატებით ხელმძღვანელობს ნიჭიერი ახალგაზრდა ლაშა კუტალაძე. მისი თაოსნობით თეატრმა რამდენიმე წარმატებული პროექტი განახორციელა. რის შედეგადაც თეატრმა თავისი შემოქმედება არა შხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გააცნო მაყურელს.

მოზარდების საყვარელი თეატრი საინტერესო და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით ერთ-ერთი წარმატებულია გურიის რეგიონში. მის ჩამოყალიბებაში, წინსელასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ოთარ კუტალაძეს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ თეატრმა მრავალ წინააღმდეგობას გაუძლო და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. თეატრში შესანიშნავი შემოქმედებითი ატმოსფერო სუფეს, რომელსაც ახალგაზრდა ხელოვანი ლაშა კუტალაძე ხელმძღვანელობს. მას გვერდს უმშვენებს ნიჭიერი შემოქმედებითი ჯგუფი. ისინი ცდილობენ შექმნან მართალი სახები და გაახარონ თავიანთი ერთგული მაყურებელი. თეატრს სამომავლოდ მრავალი საინტერესო პროექტი აქვს, რომელსაც დარწმუნებული ვართ, ჩვეული სიყვარულითა და თავდადებით წარმატებით განახორციელებენ.

ქეთევან კუკულავა

მოდა თავისუფალი უნდა იყოს

ჯონი უჯამაჯურიძემ დაამთავრა ჩოხატაურის №1საჯარო სკოლა. პარალელურად სწავლობდა სამხატვრო სკოლაში. მის შემოქმედებითი დაოსტატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მხატვრებს მზია კვინტრაძეს, არჩილ კუტალაძეს, ვოვა დურულს. ჯონიმ წარმატებით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში - დიზაინის განხრით. სტუდენტობის პერიოდში სისტემატურად მონაწილეობდა გამოფენებში. მისი ნამუშევრები მნახველთა დიდ მოწოდებასაც იმსახურებდა. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მშებლიურ კუთხეს დაუბრუნდა და სამხატვრო სკოლაში ენევა პედაგოგიურ საქმიანობას.

- ჯონი, როგორც დიზაინერი, რას გვეტყვით, როგორ ჩავიცვათ 2015 წლს?

- ეს წელი საერთოდ ძალიან ჰარმონიულია. მოდურია მშვიდი, ჰარმონიული, დახვეწილი ქალის სილუეტი. წელს, მოგეხსენებათ მწვანე ფერს ენიჭება უპირატესობა. ასევე აქტუალურია ლურჯი და შაბიამნისფერი. კაბის სიგრძეს რაც შეეხება - გრძელი და მუხლს ქვემოთ, ძალიან მოკლე ნაკლებად. მოდაშია მაღალწელიანი შარვები, ასევე მაღალწელიანი ქვედაბოლოები.

- ბენვი კვლავ ძალაში რჩება?



- რა თქმა უნდა, მაგრამ უფრო ნატურალური ბენვია მოდაში. ასევე აქტუალურია ბენვით გაწყობილი სამოსი.

- როგორც ამბობენ იცვლება ფეხსაცმელების მოდა.

- დიახ, წელს იცვლება ფეხსაცმელების მოდა. აქამდე ერთიანი ძირი იყო აქტუალური, ამჯერად მოდა იცვლება და პლატფორმა კალაპოტის ორივე მხარეს თანაბრად ნაწილდება.

- ჯონი, წელინადის რომელი დრო გიყვარს?

- ყველაზე მეტად ზაფხული მიყვარს, ალბათ იმიტომ, რომ უფრო თავისუფალია ჩატარის მხრივ და უფრო მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა.

საერთოდ, მოდა თავისუფალი

უნდა იყოს. ქალი უნდა იყოს ინდივიდუალური, რათა ყოველთვის სასურველი იყოს საზოგადოებისთვის, საყვარელი ადამიანებისთვის. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ როცა კომფორტულად გაცვია, თავს კარგად გრძნობ, ამიტომ უნდა ვეცადოთ ჩავიცვათ გემოვნებით, არ არის აუცილებელი ძვირად ღირებული სამოსი, მთავარია კომფორტულად გრძნობდე თავს, რაც კარგი განწყობის საწინდარია.

- როგორია სამხატვრო სკოლის მოსავლეების დაინტერესება დიზაინისადმი?

- მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მოსავლეები ნამდვილად გამოირჩევან დახვეწილი გემოვნებით, თითოეული მათგანი ავლენს საკუთარ ინდივიდუალობას. ჩვენ ამ კუთხით, რა თქმა უნდა ვმუშაობთ. შარმან ვაჩვენეთ და კვლავ ვემზადებით მოვაწყოთ გამოფენა - ჩვენება. ძვირფასო მანდილოსნებო იყავით მუდამ მხიარული და ჩაიცვით გემოვნებით. მიუხედავად ყველაფრისა ცხოვრება მშვენირია.

წარმატებებს ვუსურვებ თქვენს ურნალს. სასიხარულოა, რომ კარგი და საინტერესო სიუჟეტები მზადდება. ყურადღებისთვის კიდევ ერთხელ მაღლობას გიხდით.

ქეთევან კუკულავა

მოსახული ვიქენები, თუ გურიაში რაგის სტადიონი აგენდება



ასოციაცია „ატუს“ დაფინანსებით ქალაქ თბილისში ორი რაგბის სტადიონი აშენდა, ასევე რუსთავში, ქუთაისში და გორში უკვე დასრულების სტადიონია, ახლა საუბარია თელავზე და ზუგდიდზე. ბათუმის რაგბის სტადიონის მშენებლობა 2014 წლის მარტში დაიწყო. ტერიტორია სამუშაოთა მწარმოებელ, სოსო ბოლქვაძესთან ერთად დავათვალიერეთ.

რაგბის სტადიონის მშენებლობა ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს. 3 მილიონ ნახევარი ლარით ადგილობრივი თვითმმართველობა აფინანსებს, ხოლო 3 მილიონ ნახევარ ლარს ასოციაცია „ატუს“. დაახლოებით 760 ათასი ლარის სამუშაოებია შესრულებული. პირველ ეტაპზე მომზადდა მცირე ტრიბუნა, რომელიც ხელოვნურსაფარიან მოედანთან არის მიბმული და 550 მაყურებელზეა გათვლილი. ტერიტორია შემოიღობა, დავიწყებთ დიდი ტრიბუნის მშენებლობას, იქ 2550 მაყურებელი დაეტევა.

- რა სამუშაოები მიმდინარეობს ამ ეტაპზე?
- ახლა საძირკველის ჩაყრის ბოლო ეტაპია, ფუნდამენტის ამოსვლის, ტერიტორიის დატკეპნის, სადაც



დიდი ტრიბუნა უნდა დაჯდეს, ადმინისტრაციული შენობით, გასახდელებით, მსაჯთა ოთახებით. კლიმატურმა პირობებმა ხელი შეგვიშალა, თებერვლის თვიდან უკვე ინტენსიური სამუშაოები დაიწყება.

როდის დასრულდება მშენებლობა?

- 2015 წლის დეკემბერში.
- ქალაქ ბათუმს ჰყავს ძლიერი რაგბის გუნდი?
- რა თქმა უნდა, ახლა ხელვაჩაურის ტერიტორიაზე ვარჯიშობენ, რაგბისტები ხშირად მოდიან, სტადიონის გახსნას მოუთმენლად ელოდებიან.
- რომელ რეგიონში იგეგმება კიდევ რაგბის სტადიონების მშენებლობა?

- ლანჩხუთელი ვარ, ამიტომ ამ მუნიციპალიტეტს გავუნევდი რეკომენდაციას. იქ რაგბისტების ქალთა გუნდია, მათ უნდა გამოხატონ ინტერესი. გურიას დიდი გუნდი არ ჰყავს, მარტო ბავშვთა გუნდებია, როცა თავისი ბაზა ექნებათ, გუნდიც შეიქმნება და მეტ წარმატებას მიაღწევენ.

ლელა სურმავა

ერთი ლაგაზი დღე ჩოხატაურის საცდაზეულთა დღის სოციალურ ცენტრში

აქ დღოვებით პასიონერთა კავშირია გათავსებული



2015 წლის 23 იანვარს ხანდაზმულთა დღის ცენტრში ჩატარდა ღონისძიება – „პატივი ეცით სიბერეს, ის ჩვენი მომავალია“. მონაწილეობა მიიღეს ცენტრის ბენეფიციარებმა – ანსამბლი „მანდილი“, რომლის ხელმძღვანელია ლეილა კოტრიკაძე. გიტარის თანხლებით რამდენიმე რომანს შეასრულა ლიანა მეგრელიძემ. მაყურებლები გაახალისა სკეტჩებია არსენ დუნდუას და ოთარ ცინცაძის მონაწილეობით. თავისი ლექსები წაიკითხეს ლამარა მამალაძემ და ნუნუ ანთიძემ. პენსიონერთა ანსამბლის შესრულებით, ხელმძღვანელი ჯემალ ნაკაშიძე, დარბაზში ომახიანი სიმღერები ისმოდა. ღონისძიების დასასრულს ყველა ბენეფიციარმა

„სულიკო“ იმღერა. საღამოს წამყვანი, მანანა სურმანიძე ხანდაზმულებს სითბოთი და სიყვარულით ავსებდა.

მადლობას უხედი ჩოხატაურის ხანდაზმულთა ცენტრის ხელმძღვანელებს თამარ კოროშინაძეს და მარინა ხუნდაძეს, პენსიონერთა ანსამბლის ყველა ნევრს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ორაკლი კუჭავას და საკრებულოს თავმჯდომარეს, ზალ მამალაძეს. ასეთი საინტერესო შეხვედრები ხანდაზმულებს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს და რწმენას გაუმყარებს.

ჩოხატაურის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე ჯემალ ნაკაშიძე



ანზორ გოთუას ჩოებია

მუდამ გასსოვდეს

მუდამ გასსოვდეს, სიმღიდე და სიუვარულია,
მეგობრობა და თანდგომა, სხვა დანარჩენი ტესილია,
იცოდე, ჯერ არ მოჭრილა კაცის საუფის ფულია,
შრომის წულებილი გაგაჩნდეს, თან გქონდეს კაცის გულია,
თუ გული არ გაგაჩნია, ნეტავ რად გინდა ფულია.

აუცილებელი

ადამის მოდგმას, ღმერთმა ინება,
შობიდან მისცა ღვთის სიუვარული,
სიმშეიდე, სიბრძნე, გულმოდგინება,
რაობის აღქმა და სიუვარული.

ამასთან ერთად პატივისცემა,
უძფოთველობა, ერში დიდება,
ღვთის სიუვარული და მორჩილება,
გარდაუვალი ჟემმარიტება.

ვერსად წაგიგა, შენთან დარჩება,
საჭირო სწავლა, გეგმა და ქონება,
აკისრულდება უფალის ნება,
საწადელს შეგმენს შენი გონება.

თუ საფეხ აზრის საგანმური,
გზას გაბეიგალავს ღმერთის სასწაული,
როგორც ხაიფიქნე მომის სიუვარული,
ისე მოგეცემა უფლის საზღაური.

გასსოვდეს, კაცს მდგმურს ამა სოფლისა,
იუა მორჩილი შენი უფლისა,
თუ გსურს, არ გდევდეს ბედი რბლისა,
იუა ერთგული წუთისოფლისა.

ჟურნალი გურია REGION-ი რედაქცია მსოფლიო ბანს ჰა-
ტა ბურჭულაძეს 60 წლის იუბილეს კულოცავთ. ჯანმრთელობას
და დღეგ რძელობას ეჭსურებეთ.

ზაარა ბურჭულაძეს

შენ დაიბარე ქართველთა გულში,
შენით ამაურბს ჩვენი ერია,
შენი ცხოვრებით ჩასახლდი სულში,
რითაც გაგვხადე ბედნიერია.

გულით გილოცავთ დაბადების დღეს,
მუდამ გვესმოდეს შენი ბანია,
მსოფლიო ნახა შენი სილადე,
გწეალობდეს ღმერთი, ღრო და სანია.

ნაცვლად, უფალს ვთხოვთ, დიღხანს გაცოცხლოთ,
შენებრ შეილები რომ გაგვიმრავლოს,
შენი სახელით სხევებმაც რომ გვლოცოს,
მუდამ უუვარდე შენ საქართველოს.

არ დაიგიწეო, რომ სარ ქართველი,
მსოფლიო ბანით, სიტევით მზიანი,
უფალი გფარავს, იუა დღეგ რძელი,
ღვთისგან ნაკურთხი ადამიანი.

(12.2. 2015 წელი)



ნენუ ბერიშვილის პოეზიის საღამო

საქართველოს წითელი ჯვრის ჩოხატაურის ფილიალში ჩატარდა ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრის ბენეფიციარის ნუნუ ბერიშვილი – ყაჭეიშვილის პოეზიის საღამო. ქალბატონი ნუნუ რუსული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგია. ბავშვობის გარკვეული წლები სოფელ სურებში გაატარა. ამ სოფლის არაჩეულებრივმა ბუნებამ მასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. პოეზიის საღამოზე ნუნუ ბერიშვილმა დიდი შთაგონებით წაიკითხა

საკუთარი ლექსები. თითოეული ლექსი სამშობლოს, მშობლიურ კუთხეს, მოყვასის სიყვარულს მიეძღვნა. პოეზიის საღამო ქალთა ფოლკლორული ანსამბლის „მანდილი“ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა კიდევ უფრო გააღამაზა.

ჩემი ჩოხატაური

ჩოხატაურო, გურულის გრძნობავ, უსვად დაღვრილო, ტბილო,
ჩოხატაურო, სევდავ და რბოლავ, გურიის ნაღდო შეილო,
ოდითგან მედგრად რაინდულ სულით იცნობენ მოდგმას შენსა,
ხარ სამაჟო ერისკაცებით, კიდევაც ხნავ და თესავ.
სტუმართმოვარებები, მე ზნებარე სულით, მათთან თუ გული გულობს,
ლახინში, ქეიჭში თუ ქორწილებში, შენსავით ვერვინ სუმრობს
ჩოხატაურის ლამაზო ზეცავ, მთელი გურიის სულო,
ბახმაროს სიბლო, მშენებით ფეთქავ, შავი ადესის სულო.
გიუგარს მოევასი, გიუგარს სამშობლო, სიმღერაც, ლახინიც გიუგარს,
ამაჟიცა ხარ, შეუძრებელიც, ვერვინ დაგასწრებს სიტევას,
იხარე, ჩემო, ძირძებელო კუთხევებ, იდიღ მხენევ და ლაღად,
კვლავ შეგრჩენოდეს ომასი სული, კვლავ იღღებრძელე მარად.

ხანდაზმულთა საოცარი ტამარი

ხანდაზმულთა გასაოცარ ტამარში
შეებას იგრძნობ, როგორც დეთიურ ტამარში,
აქ მოსულნი ვეუფებით ერთმანეთს,
მოკრძალებით ვევერებით მაღალ დმერთს,
რომ მოგემაღლოს სათითაოდ სუევლას,
რაც გვაკლია და გვინდა, რომ გვჭრნდეს,
რომ სულგრძელი ვიურო უოველ მოვეასთან,
რომ გვსურს უფლის მოწეალების გვაჯროდეს.
რომ ჩვენ სიბოს უევლას გავვანაწილებთ.
ჩვენისთანა ხანდაზმულთ თუ გეაწილებს,
რომ სიექთე, მაღლი, ქველმექება,
ქდემით გასდევს თვითოვეულის ქმედებას.
უფალს ესმის ხანდაზმულთა უერება,
რომ ცხოვრება უფრო შევიდი ქმედებათ,
რაღვან სჯერათ, რომ ცხოვრების განონით,
სიბერეც ხომ გარდევალი რამ არის,
უევლას კარტე მოადგება ნარნარით
და ჩაივლის მათოვის, როგორც ზღაპარი,
თანადგომით, სიუგარულით გამთბარი.

თბილი მოგონება

შუასურებო, ღრმა სურებო, დარჩენილო მარტოდ ობლად,
გაფრენილან შენი შევილნი, დაცლილია ქარი, ოდა,
შენებრ სუფთა, ღრმა სუნთქვასა, ურჩევნიათ გვამლით სავსე,
შენვეის ჯერ არ მოუცლიათ, არ იციან შენი ფასი.
შენ წერიალა სუფსის წეალო, ვერაფერი დაგამრობს.
აფრენილო მაღლა მდელოვ, მობიბინე, ჯეჯილო,
ირმის კვალზე, შეელზე თვალი, ფრთხილად უნდა გვჭიროს.
ბერძულავ თუ ხეჭეჭერო, სასელოვ თუ საუეითლიავ,
ბაღის გამლო, გილოურავ, უერმნით გაღთა აგვიგსია.
შესასვლელში ცივი წეროს, მონარჩნარე ვიწრო ზოლი,
ქვევით შარას, ფართო შარას, ნიგვზიანში ჯოგი ზომავს,
აქაფებულ წელის ჩანჩქერში, ჩაფენილი უმაწევილთ გროვა,
ქრიამულით ახალისებს, ირგვლივ უველის.
ეს ბავშვობის მოგონება, გონებაში ღრმად ჩამჭდარა,
ნეტავ იმ ღროს, ნეტავ თითქოს, ბაბუაც კი არ მომკვდარა,
სილნარიდან ერება, დასრევს ბავშვებს ჭოკით ქექმოთ,
ონავრებს კი ურჩევნიათ, მონარული სილის გმო,
ეს წალეოტი ჯანით სავსე, კუთხე უნდა დააფასოთ,
შემთბრუნდით, დაუბრუნდით, ჯობინის კიდეც, მრავალ სხვასო.

საქართველო

დიდება მარად, დიდება მარად, ჩემო სამშობლოვ, ერთო და მეარო,
გაძლიერდი და გაერთიანდი, რომ შეგნატროდეს მთელი სამეარო.
დიდება მარად, დიდება მარად, ჩემო მირმევლო, ნათელო მთელო,
რჩეულ ჭინაპართ ნათელო გვალო, გმორჩეულო შენ საქართველოვ.
დიდება მარად, დიდება მარად, ქართველი ხალხის მმობავ, ერთობავ,
უძლევო ღრიოშავ, სიმტკიცევ, ნიჭო. ენავ, მამულო, სარწმუნოებავ,
დიდება მარად, დიდება მარად, წინაპართ გენო, შეგრულო მაღავ,
ურევო რწმენით, სულისკეთებით, თავისუფალო, ჩემო ქვევნავ,
დიდება მარად, დიდება მარად, ჩემო სამშობლოვ, ერთო და მეარო,
გაძლიერდი და კვლავ აღორძინდი, რომ შეგნატროდეს მთელი სამეარო.

მართლი ხემხედო ისტორიის გენერაციი კიბელი

1. ფარნავაზი
2. ვახტანგ გორგასალი
3. დავით აღმაშენებელი
4. თორინიუ ერისთავი
5. პეტრე ბაგრატიონი
6. გიორგი სააკაძე
7. იოსებ სტალინი
8. გიორგი გოთია – გენერალ-მაიორი, რუსეთის არმიის სარტყელი. საფრანგეთის სახელმწიფოს არსებობა მისი და რუსეთის არმიის დამსახურებაა
9. ალექსანდრე ქართველიშვილი – საფრანგეთის და აშშ-ს ავიაციის მამა
10. ჯორჯ-მალხაზ შალიკაშვილი – აშშ-ს ჯარების მთავარსარტყელი.

გურული ხემრობები

☺ ☺ ☺

ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდ ვანში ძალიან ნიჭიერი, განსწავლული და ენამინსწებული კაცი გაიოზ დოლიძე ცხოვრობდა. ერთხელ გაიოზი გზაზე მოდის, თანასოფლელი ქალბატონი შემოხვდა, გაუხარდა მისი დანახვა და ხმამაღლა შესძახა – გაიოზ გაკოცებდი, მარა სახეზე ვერ შეგწვდებიო (გაიოზი მაღლალი კაცი იყო).

– სადაც შემწვდები, კაჩო (კაცო), იქ მაკოცე! – გურული სისხარტით მოუჭრა გაიოზმა.

☺ ☺ ☺

გაიოზი სოფელში სასადილოში მსახურობს, მასთან ერთი მომსახურე მივიდა და ჰკითხა – ნაბეღლავი სადაა კაცო, ნაბეღლავი?

– ნაბეღლავი, კაჩო, ჩხაკოურას ქვერელება. ასე სწრაფად მოუძებნა გაიოზმა ნაბეღლავი.

☺ ☺ ☺

ანატოლი დარსალიას სიდედრი გარდაეცვალა. სოფლის ცენტრში გამოვიდა და მოახლოებულ ორმოცხე წუნუნი დაიწყო – კაცო, ეს რა წესი ყოფილა, მეუბნებიან, გოჭი კენტი რაოდენობით უნდა იყიდოო, ერთი ცოტაა, ორი ლუნი იქნება, არ ვიცი, რა ვენა.

ბიჭიოამ უთხრა – გენაცვალე, კენტია სამიც, ხუთიც, შვიდიც და ასე შემდეგ. სამი მაინც იყიდე, შე კაი კაცო, – ასე დაარიგა მას ჭკუა.

☺ ☺ ☺

სოფელში ერთი მსმელი და პურ-მარილიანი კაცი გიორგი ცხოვრობდა.

მარტო სხვისას ქეიფი არ უყვარდა. მისი სახლის ქვემოთ მე, რობერტი და მიშა ყანაში ვმუშაობდით. გიორგი გადმოდგა და გვეძახის – ჰე, ჰე, ჰე, მაი ყანა არსად გაგექცევათ, ამოდით, კაი სანთლის არაყი მაქვს და დავლიოთო. მუშაობას თავი მივანებეთ და ავედით. შუა სმაში ვიყავით, გიორგის ცოლმა, თამარამ, დაუძახა – მაქანე ინდაურის საჭმელი დგას და ჭუკებს დოუყარეო, გეიგონე გიორგი? – კი, ქალ – უპასუხა მან, თან ჩუმად დააყოლა – რომ ჩამოხვალ, შენ თვითონ დოუყარეო. გიორგის სახლის საქმის არაფერი გეეგებოდა.

☺ ☺ ☺

სოფლის ცენტრში ძუკუ რამიშვილი ტრაბახით ამბობს – გუშინ, გულო, ლორი დავკალი, სუფთა ხორცი 7 ფუთი გამოვიდაო. ერთი კვირის შემდეგ კანტორასთან წუნუნებს – მოგველა, გულო, აი ლობიოს ჭამამ, აი საქმე? – ჰე, ჰე, ჰე, ძუკუია შეჩვენებულო, იი შვიდფუთიანი ლორი ერთი კვირის წინ ჩემსას დაკალი? – ქირქილით ჩაეკითხა გიორგი.

☺ ☺ ☺

მომღერალ კაცს – მიხეილ შათირიშვილს ასეთი ჩვევა ჰქონდა: ვისაც შეხვდებოდა, აუცილებლად თხოვდა – სიგარეტი მომაწევინეო. თუ უარს მიღებდა, იტყვოდა, – კაი, მაშინ ჩემსას მოვნევო!

☺ ☺ ☺

აბელ რამიშვილს თავისი ბიძაშვილი წოდარი წაეტრაბახა – ნახე, ბიჯო, „გუშინდელ ვეჩერნი“ თბილისში რა


კარგად ვარ განერილი, როგორც წარმატებული მუშაკ?

– ხო, ხო, ხო, შენ „ვეჩერნი თბილისში“ თუ გაგწერენ, თორემ დიღლის გაზეთში ვინ გახსენებდაო – მოუჭრა აბელმა.

☺ ☺ ☺

სოფელში კარგი პური ცხვებოდა, ყოველთვის დიდი რიგი იყო. რიგში ბოლოები იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ. ერთხელ რეზო ხუნდაძე ბოლო აღმოჩნდა და პური გათავდა. იხტიბარი არ გაიტეხა და დაუფიქრებლად წამოიძახა: რა აზრი აქვს ამ პურის ყიდვას, რამდენიც ვიყიდე, იმდენი ბალნებმა შემიჭამესო. რიგიდან გავიდა და დამშვიდებულმა თქვა – წავალისევე და ჭადს გამოვაცხობო.

სპარტაკ რამიშვილი (დიდი ვანი)



გვალიშვილების გადაწყვეტილება მუზეუმის გარემონტის დროის დროის



ოზურგეთს

არ გინახავს? წარმოსახე,
აჭი, ბჟუჟი, ბახვისწეალი,
ლამაზ მდინარეთა სახე,
თან მდიდარი მიწა-წეალი.

ამ მიწაზე აღმოცენდა,
ზვანი და მთიდანახე,
იქვე სერი, გაკირული,
უკეთესი ვერსად ვნახე.
მთათა თუ ზურგზე გაშენდა,
ექადრა, კვირიკეთი,
იქცა ქალაქად, დამშვენდა,
მას ეწოდა თზურგეთი.
დრომ თავისი გაიტანა,
სახელს დაჭევა მისი ბედი.

ანგორა ვითავს



9 772346 760009